საქართველოს
1997
# ქალი
11–12

645
1997



სიყვარულის ანა-ბანა:

ყური დაუგდეთ
საკუთარ გულს

უშვილო ქორწინების
თითქმის ნახევარი
მამაკაცის მიზეზით
არის გამოწვეული.
სად ვიმკურნალოთ?

ამიერიდან:
პიანისტთა
თბილისის
საერთაშორისო
კონკურსი

დიმიტრი
შევარდნა-
ძისა და
ქეთევან
მაღალა-
შვილის
რომან-
ტიკული
მეგობრობა

გავთხოვდეთ
უცხოეთში?—
პრობლემა
სხვა ასპექტით

სად გაჩნდნენ
პირველი
მანეკენები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში" დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ცისანა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარხამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოზოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი ია პაპაშვილი; მეოთხეზე — „ზამთრის პირი" — ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".

ჟურნალი გამოდის 1925 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".
ც. კოსტავას ქ. № 14

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magazine for Woman of the Republic of Georgia

# *** ფესტივალი

## ანუ თქვენ რას იტყვით.



ამას წინათ მიმომხილველმა თამარ გუნაშვილმა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების პირველი საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქრების" მიმოხილვისას, ენამოსწრებულად შენიშნა: ამბობენ, ნაჩუქარ ფესტივალს კბილებს არ უსინჯავენო. ამ ორაზროვანმა ფრაზამ, რატომღაც, შექსპირის „რიჩარდ III"-ის ცნობილი სტრიქონი შემახსენა: რიჩმონდთან დამარცხებული სახოწარკვეთილი რიჩარდი განწირული ყვირილით რომ ამცნობდა სამყაროს, მთელს სამეფოს ერთ ცხენში ვიძლევიო. არავის შეუძლია დაიფიცოს, ესოდენ დიდი ბარტერული მსხვერპლის ფასად ნაშოვნ ცხენს კბილს თუ არა, ფლოქვს თუ მაინც გაუსინჯავდა რიჩარდი, მაგრამ დონ კიხოტის როსინანტივით თუ პლატონ ხამანიშვილის ნათხოვნი ცხენივით ისედაც გაძვალტყავებული ეკონომიკის გადამკიდეებმა, ფესტივალს, (თუნდაც ნაჩუქარს), კბილიც უნდა გავუსინჯოთ და ზოგი სხვა ალაგიც.

**დ**ღეს ქართველებს ცხოვრების სახსარი გვიჭირს, თორემ დონ კიხოტის რომანტიკა და სამანიშვილის კუდაბზიკობა დაბადებიდან გვაქვს შესისხლხორცებული, მაგრამ ახლა ამაზე სჯა-ბაასი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მე ჩვენს ცხენზე ანუ ფესტივალზე მოგახსენებთ, რომელსაც, სხვათა შორის, ბევრი რამ შევწირეთ!

ფესტივალისათვის მზადება თითქმის ერთი წლით ადრე დაიწყო და, როგორც ამგვარი გამოცდილების მქონე მდიდარ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ხდება, მისმა თავკაცებმა და, უწინარესად ქალბატონმა ქეთი დოლიძემ, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია თავისი გამორჩეული ორგანიზატორული და პროდიუსერული ნიჭითა და მასშტაბებით, იმთავითვე დაძაბული მუშაობა გასწია, რათა შემოდგომის თბილისში „საჩუქრებს" მოეწვია.

# საჩუქრების მოყვარულთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

20816

## ბატონო მიშა?

გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ მსოფლიოს 13 ქვეყნიდან 400 მოღვაწის მიღება და დაგეგმილი 145 წარმოდგენის ჩატარება 26 საკონცერტო დარბაზსა და თეატრში, იოლი საქმეა, უბრალო საქმე არც ქართველ მეცენატ-ბიზნესმენთა დაინტერესება და მოზიდვაა, თუნდაც ესოდენ მომგებიანი სარეკლამო შანსების გამოყენების მომხიბვლელი წინადადებით. ამდენად, ქებათა-ქება ქალბატონ ქეთისა და მის თანამზრახველთა ჯგუფს, ფესტივალ „საჩუქარის" საორგანიზაციო კომიტეტს, რომლის უდიდესი ძალისხმევითაც „საჩუქარი" მსოფლიო სტანდარტების დონეზე განხორციელდა. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნული დაპირება შესრულდა: ყველა შენობა — თეატრები, საკონცერტო თუ საგამოფენო დარბაზები, გარდა ქარვასლისა და სურათების ეროვნული გალერეისა, უარენდოდ დაეთმო „საჩუქარს". ბილეთების ფასიც 2-დან 7 ლარამდე მერყეობდა, თუმცა განსაკუთრებულ სიმკაცრეს ვერ დავწამებთ მომსახურე პერსონალს, რომელმაც სრულად გაისიგრძეგანა სიტუაციის არსი ანუ ის, რომ „საჩუქარში" სანაცვლოდ რაღაცის მოთხოვნა, თუნდაც ეს ბილეთი იყოს, მთლად ვერც „ზრდილობიანი" და „ქართული" საქციელია. ამიტომაც ღიმილით ეპატიჟებოდნენ თვით უბილეთო მაყურებელსაც კი, რომელმაც 12-26 ოქტომბერს სამაგალითოდ უერთგულა ფესტივალის თავბრუდამხვევ მარათონს და დაამტკიცა, რომ ჩვენ, ქართველებს, ძალიან გვიყვარს „საჩუქრები" და მათი ფასიც კარგად ვიცით.

თუ მაყურებლისა და მასმედიის გამოხმაურება-ანალიზით ვიმსჯელებთ, „საჩუქარმა" შემოქმედებითი თვალსაზრისით მთლად ვერ გაამართლა დანაპირები. როგორც გაზეთ „ახალ თაობაში" წერდა ანონიმი ავტორი სიმბოლური ფსევდონიმით „წითელი მორიელები", თბილისში დაპირებული ჯერარნახული ვარსკვლავთცვენის სანაცვლოდ, ფესტივალზე „ძალზე მცირე რაოდენობის ვარსკვლავი ჩამოვარდა", თანაც უმრავლესობა ადგილობრივი, ქართული ეროვნული ცის კაბადონისა! საქმე, რა თქმა უნდა, იმაში როდია, რომ ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავები ალ პაჩინო, დასტინ ჰოფმანი ან დე ნირო ვერ ჩამოვიდნენ, რადგან ვინც ჩამოვიდა, ერთეული გამონაკლისების გარდა, იმედგაცრუებული მაყურებლის ზრდილობის გამო დაკრული ტაში და ქართველ ჟურნალისტთა საკმაოდ ენამწარე რეპლიკები დაიმსახურა, რომელთა საერთო პათოსიც ორიოდ სიტყვით ასე გამოიხატება: ესაა პიკასოს ბიჭი? იქნებ ვინმესთვის გაუგებარია, თუ რა შუაშია პიკასო. აი, ჩემთვის კი მართლაც გაუგებარია მაესტრო მიხეილ თუმანიშვილის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებული კითხვის არსი: „რას ერჩიან დიდ მაესტროს?" რადგან, კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით ძეგლის ავტორს მოქანდაკე გია ჯაფარიძეს, რომელმაც ტლანქ ქვაში ბრწყინვალედ გამოხატა ბატონი მიშას სულიერი და ფიზიკური სამყარო, მისი ინდივიდუალობა და ხასიათი, ჰაეროვანი, დინამიური პლასტიკა და სიმსუბუქე. რა ვუყოთ, რომ ეს ძეგლი, თურმე, არ მოსწონს მსახიობებისა და თბილისელების ერთ ნაწილს. სხვათა შორის, ჯერ არ მახსოვს, ჩვენში ძეგლი დადგმულიყოს და ის მაშინვე ყველას მოსწონებოდეს!

გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ პოზიცია კი, ნამდვილად, სადავოა, რათა შემდგომ არ დაიბადოს კიდევ ერთი ირონიული შენიშვნა: „თუ რესპუბლიკური დათვალიერების გამართვა უნდოდათ, რაღა საერთაშორისო ფესტივალს არქმევდნენო?!" ჩემი აზრით, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის მნიშვნელობისა და სარგებლის დაუნახაობა, მით უფრო, ჩვენისთანა მდიდარი კულტურული ტრადიციებისა და თანამედროვეობის მქონე პატარა ერისათვის, უბრალოდ, „ვილაცაზე" და „რაღაცაზე" დაბოღმილი კაცის პოზიციაა და მეტი არაფერი, მაგრამ ფესტივალ „საჩუქარის" იდეის დაბადების დღიდან ერთი კითხვა წამომიტივტივდებოდა ხოლმე: ქართულ თეატრთავსდანგრეულებს რა გვევანესრედგრეიგვეალპაჩინოება? რადგან:

მიუხედავად იმისა, რომ „საჩუქარზე" ქართველებმა „დავგლიჯეთ" და ჩვენებური შექსპირითა და ჩეხოვით მთლად „გადავრიეთ" უცხოელები.

მიუხედავად იმისა, კიდევ ერთხელ მოგვეცა რეალური შანსი დაგვენახვებინა მსოფლიოსათვის, რომ „ჩვენს პატარა ქალაქში" (რეჟ. მ. თუმანიშვილი, კ/მ თეატრი) არის „ალუბლის ბაღი". (რეჟ. შ. გაწერელია, თეატრისა და კინოს ინსტიტუტი), სადაც ხედავენ „ზაფხულის ღამის სიზმარს". (რეჟ. მ. თუმანიშვილი, კ/მ თეატრი). და განიცდიან „სიყვარულს თელებს ქვეშ". (რეჟ. კ. აბაშიძე), სადაც „კვერცხივით" (რეჟ. ს. მრევლიშვილი, თეატრი „ძველი სახლი") „გახლეჩილ სამყაროში" (რეჟ. ნ. კვასხვაძე, კ/მ თეატრი), „ორთა ბოდვას" (რეჟ. ო. ეგაძე, „თეატრალური სარდაფი") ჰგავს „ცხოვრება იდიოტისა" (რეჟ. დ. დოიაშვილი, კ/მ თეატრი), ხოლო „სიმფონიური ცეკვები" (დამდგ. გ. ალექსიძე, ოპერისა და ბალეტის თეატრი) და „სიკვდილის როკვა" (რეჟ. ა. ვარსიმაშვილი, „თეატრალური სარდაფი"), თანაც „ძაღლების ვალსისა" (რეჟ. გ. კიტია, რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრი) და „სამგროშიანი ოპერის" (რეჟ. ლ. წულაძე, „თეატრალური სარდაფი") თანხლებით, „ცდებია ცარიელ სივრცეში" (რეჟ. ი. საბო) ამაო „სრბოლა" (რეჟ. რ. სტურუა, დ. ხინიკაძე, სოხუმის დრამატული თეატრი), რადგან „აკომპანიატორი" (რეჟ. მ. სურმავა) „მევიოლინეა სახურავზე" (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, მუსიკალური თეატრი), ხოლო ჭრელსა და ბრწყინვალე აუდიტორიას — „ლამარას" (რეჟ. რ. სტურუა, რუსთაველის თეატრი) და „მარიამ სტიუარტს" (რეჟ. გ. კაპანაძე, რუსთაველის თეატრი), „მეფე ლირისა" (რეჟ. დ. დოიაშვილი, მარჯანიშვილის თეატრი) და „შანტეკლერს" (რეჟ. ქ. ხარშილაძე, ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი), „სალომესა" (რეჟ. გ. ჟორდანია, სასწ. თეატრი) და „ტარტიუფს" (რეჟ. გ. ანთაძე, სასწ. თეატრი), „ამიკოსა" (რეჟ. ო. ბაღათურია, ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრი) და „ტომს" (რეჟ. გ. კიტია, რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრი), „ქალსა" (რეჟ. გ. ქავთარაძე, გრიბოედოვის თეატრი) და „დალაქს" (რეჟ. კ. აბაშიძე, რუსთავის თეატრი), „სისხლიან ქორწილში" (რეჟ. გ. გაბილაია, ცხინვალის თეატრი) „სერობა" (რეჟ. ქ. დოლიძე, კ/მ თეატრი) გაუმართავთ, თორემ „ვირის ჩრდილში" (რეჟ. ც. ნაკაშიძე, ახმეტელის თეატრი) „არტაშესის ვნებით" (რეჟ. სლავა სტეპანიანი პ. ადამიანის თეატრი) გაბრუებული „სტუმარ-მასპინძლის" (რეჟ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალიკაშვილი, პანტომიმის თეატრი) თვალით დანახული „ზედი ხიდიდან“ (რეჟ. ა. ქანთარია, აზმეტელის თეატრი), „ბაკულას ღორებსაც“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი, კ/მ თეატრი) და „მარტორქებსაც ორკესტრში“ (რეჟ. ს. მრევლიშვილი, თეატრი „ძველი სახლი“). ერთი სიტყვით, „საჩუქარი“, რომელიც მიართვა საქართველომ მსოფლიოს, საკმაოდ სოლიდური აღმოჩნდა ჩვენი ძალებისა, და განსაკუთრებით, ჩვენი ჯიბის ფონზე.

რაც მართალია, მართალია — ფესტივალი სახელმწიფოს ბიუჯეტზე არ გამართულა, კერძო ჯიბეში ცხვირისა და ხელის ჩაყოფა კი, აბა რა საკადრისია, და მაინც „შინ რომ ბავშვი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ — უთქვამთ ძველებს. ანუ, შინ რომ ქართველი არტისტები კაპიკს კაპიკზე აწებებდნენ, გარეთ ნათხოვარი ცხენითა და ჩოხა-ახალუხით რას ვბაქიბუქობთ, ჩემთვის, მაპატიეთ და, სრულიად გაუგებარია. უსამართლობაა, არ დავაფასოთ ის გარემოება, რომ ფესტივალმა საშუალება მოგვცა, გვენახა ქართველ რეჟისორთა უცხოური დადგმები, თორემ როდის იქნებოდა კიდევ შანსი თემურ ჩხეიძის პეტერბურგელი და გოგი ქავთარაძის როსტოვული სპექტაკლების ნახვისა, ვინ იცის?!

რაც შეეხება სტუმრებს, ყველამ საკუთარი ნიჭისა და უნარის შესატყვისად გამოამზეურა საკუთარი „საჩუქრები“. მერე რა ვუყოთ, რომ ბულგარელთა უპრეტენზიო „შინელი“ უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე დიდი ბრიტანული ვარსკვლავი „პლანეტა ვიზის გარეშე“ ანდა ჰოლანდიური „წითელი მოსასხამი“, სამაგიეროდ, ფესტივალ „საჩუქარის“ მონაწილეებმა „უსირცხვილოდ“ (ლონდონის მუსიკალური თეატრი) გამოამზეურეს საკუთარი გულწრფელი და „ძლიერი გრძნობები“ (ლონდონის კომპანია ვებერდაგლასის დრამატული ხელოვნების აკადემია) და ერთმანეთს იმდენი სითბო, ტკბილი სიტყვა, ქათინაური და დადებითად დამუხტული ემოცია აჩუქეს, ასი „ჩემოდანი“ (ლონდონის თეატრი „გოკ“) რომ ვერ დაიტევს იმდენ საჩუქარს.

... და მაინც, იქნებ სჯობდა, ამ ეტაპზე, როცა აგერ გუშინ გარდაცვლილი ბატონი მიშას სული ქართული თეატრის და კერძოდ, მისი საყვარელი კინომსახიობთა თეატრის გაჭირვების გამო სევდას მოუცავს, გაგვემართა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კონკურსი-ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ბატონი მიშას ყველა სტუდენტი, მსახიობი და რეჟისორი, (ასაკისა და ცენზის მიუხედავად!) სპეციალურად ამ ფესტივალისათვის განხორციელებული ახალი ნამუშევრით, ხოლო მიუკერძოებელი ჟიური მოზიდულ თანხებს ამ კონკურს-ფესტივალში გამარჯვებულთ პრიზების სახით, დამსახურების მიხედვით, გაუნაწილებდა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს იქნებოდა უდიდესი სტიმული ქართული თეატრის ნაჰილიზმშეპარული თაობისათვის, დიდი მაესტროს ჭეშმარიტი საჩუქარი.

რაც შეეხება საფესტივალო გამოცდილებას, „საჩუქარმა“ მრავალმხრივ ასწავლა ჭკუა მის მომწყობებსაც, მონაწილეთაც და მაყურებელსაც: სამხრეთული შემოდგომის მზის სხივებითა და ტემპერამენტით გულგამთბარმა სტუმრებმა ისიამოვნეს, გაიხარეს, გაილაღეს და ფესტივალში კვლავ მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, მასპინძლებს დარჩათ სახელი, ცარიელი ჯიბე და ფუძემორყეული, ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი ქართული თეატრი. საკითხავია, რა ურჩევნია ნაჩუქარ ცხენში გაცვლილ ქართულ თეატრს, იქნებ ჩემსავით „კოჭლი სტრიქონი ურჩევნია მთელს იმპერიებს“?!... ...„თქვენ რაღას იტყვით, ბატონო მიშა?“...

**ფიქრია ყუშიტაშვილი**

**სასკოლო პროგრამა მოქმედებაში!**

# პატარა პარლამენტიდან — დიდ პარლამენტში

ავტობუსში უხერხულად ვიდექი. ათი-თერთმეტი წლის ბიჭუნა სკამიდან წამოხტა და დაბრძანდითო, თავაზიანად მითხრა. გამიკვირდა. ამხელა ბავშვებს თავად ვუთმობ ხოლმე სკამს. ბავშვს მადლობა გადავუხადე და ვკითხე, რომელ სკოლაში სწავლობ-მეთქი. „ბალავარშიო“, — ამაყად მითხრა.

„ბალავარი“, სკოლა „ბალავარი“. რა საოცარი დამთხვევაა. ყურმოკლული მქონდა ამ სკოლის თავისებურების შესახებ. გაგონილს ნანახი სჯობს და აი, სკოლა „ბალავარში“ ვარ.

— პარლამენტი იწყება, პარლამენტი, — უთხრა ბავშვებს ბიჭუნამ და ჩქარი ნაბიჯით აუყვა მეორე სართულის კიბეებს, რატომღაც მეც ისე ავუჩქარე ნაბიჯს, და რამდენიმე წუთში პარლამენტის სხდომათა დარბაზად გადაკეთებულ საკლასო ოთახში მყოფი „პარლამენტარების“ სტუმარი ვიყავი.

პრეზიდენტი, სპიკერი, თავმჯდომარე, დეპუტატები, მინისტრები... ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ პარლამენტში. ბავშვები იღებენ კონსტიტუციას, ამტკიცებენ კანონებს, ისინი გულისყურით ეკიდებიან ყოველი კანონის მიღებას.

პარლამენტართა შორის არის აზრთა სხვადასხვაობა, კამათი, ემოციები, მაგრამ ყველაფერი მიმდინარეობს ეთიკის დაურღვევლად.

სხდომის შემდეგ ბავშვებს გავესაუბრე. ისინი ხალისით მიყვებოდნენ ჩატარებული არჩევნების შესახებ, მაჩვენეს სკოლის საკუთარი ფულის ერთეული — „ბარი“. გამაცნეს სკოლის ბიოგრაფია.

ნანახისა და მოსმენილის შემდეგ, სკოლის დირექტორს — ერთი შეხედვით თითქოს მკაცრ, მაგრამ უკეთილშობილეს ქალბატონს — ლალი ბერძენიშვილს ვთხოვე რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა:

**— ქალბატონო ლალი, როგორც შევიტყვე, უწინ აქ შენობაში რუსული სკოლა ყოფილა. თქვენ მინებჩალეწილ, გაპარტახებულ შენობაში შემოსულხართ. რადგან ყველაფრის დაწყება თავიდან მოგიხდათ, ალბათ, ამიტომ შეურჩიეთ სკოლას ეს მშვენიერი ქართული სიტყვა „ბალავარი“.**

— დიახ, მართალი ბრძანდებით. თითქმის თავიდან მოგვიხდა სკოლის აშენება. 1993 წელს დავაარსეთ საავტორო სკოლა-კომპლექსი „ბალავარი“, მაგრამ მისი სახელი, ალბათ, ცოდნის საძირკველს უფრო ნიშნავს. ჩვენთან სწავლება თერთმეტწლიანია, ხოლო კომპლექსის შემადგენელი ერთეულებია: ელემენტარული სკოლა, პროფილური სკოლა, ლიცეუმი, მეთოდიკათა კვლევის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაბორატორია, ბავშვთა კვლევის ლაბორატორია, ესთეტიკური და სპორტული კლუბები.

**— საიდან გაჩნდა თქვენს სკოლაში პარლამენტის შექმნის იდეა?**

— წინათ სკოლებში არსებობდა მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან ბევრ სასიკეთო საქმეს ემსახურებოდნენ. ისინი დავშალეთ, ახალი კი ვერაფერი შევთავაზეთ ბავშვებს, აი, ამან განაპირობა მოსწავლეთა პარლამენტის შექმნა. აქ მათ საშუალება ეძლევათ, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ინტელექტი და მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში.

**— იქნებ ეს მხოლოდ „პარლამენტარობანას" თამაშია მათთვის, რაც შეიძლება მალე მობეზრდეთ.**

— საპარლამენტო მუშაობა ჩვენი ბავშვებისათვის სერიოზულ საქმედ იქცა. ისინი ეჩვევიან მათ მიერ მიღებული კანონების შესრულებას და დაცვას, რაც ასე აუცილებელია დემოკრატიული ქვეყნის მომავლისათვის. გარდა ამისა, დიდ პარლამენტსაც ხომ დაჭირდება მომავალში შევსება.

**— როგორ მოხდა დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება და იყო თუ არა „ბალავარში" ჩატარებული არჩევნები დემოკრატიული?**

— ჩვენი არჩევნები დამკვირვებლებისა და მოწვეული სტუმრების თანდასწრებით, დემოკრატიის პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. დაიბეჭდა სარეკლამო ფურცლები, სარეგისტრაციო ბილეთები და ბიულეტენები.

არჩევნებში 141 მოსწავლე მონაწილეობდა. კენჭს იყრიდა სკოლის მოსწავლეთა მიერ წამოყენებული ოთხი საარჩევნო ბლოკი, პრეზიდენტობის ორი და დეპუტატობის ათი კანდიდატი. ყოველი მათგანი გატარდა რეგისტრაციაში. ისინი საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის წევრებსაც კი შეხვდნენ.

**— ხომ არ გაჩნდა თქვენს სკოლაში საბაზრო ეკონომიკის ნიშნები, რამ განაპირობა სკოლის საკუთარი ფულის შემოღება?**

— „ბალავარში" მრავალი შემეცნებითი, ესთეტიკური და სპორტული ღონისძიება ტარდება. მოსწავლეთა ინტერესის გასაღვივებლად სასურველია მათი მატერიალური წახალისება, რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკასთან შეჩვევა სკოლის ასაკიდან უნდა დაიწყოს. სასურველია, მოსწავლეს აქედანვე ჩამოუყალიბდეს ფულთან ურთიერთობის კულტურა. ჩვენი „ბარი" ლარის ექვივალენტია. სამეცნიერო კონფერენციებში თუ სხვა ღონისძიებებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან „ბარით", ბავშვები მას სკოლაში არსებულ „ბანკში" ინახავენ, წლის ბოლოს კი ლარს იღებენ.

**— თქვენ ურთიერთობა გქონიათ საზღვარგარეთთან.**

— დიახ. „ბალავარი" გასული წლის მაისის თვეში გახდა ევროგაერთიანების პროგრამის „პეგასუსი" წევრი. იგი ითვალისწინებს სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდიკების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთგაცვლას. „პეგასუსში" მონაწილეობს: დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია და საქართველო, რომელიც წარდგენილია „ბალავარის" სახით.

**— თუ ყოფილა „ბალავარში" მასწავლებლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევა.**

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთან მოსწავლეთა პიროვნული უფლება ნამდვილად დაცულია. იყო შემთხვევა, როცა მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოსწავლეს, რაც პედაგოგის სამსახურიდან გათავისუფლებით დამთავრდა. ჩვენთან ყველაფერი კეთდება სრულფასოვანი პიროვნების აღზრდისათვის.

**— ალბათ უხერხული კითხვაა, მაგრამ ოჯახი თუ სკოლა?**

— გულწრფელად გიპასუხებთ: ჩემთვის ოჯახი და სკოლა იმდენად განუყოფელია, ძნელია გიპასუხოთ, რომელს ვაძლევ უპირატესობას. ჩემთვის ოჯახისა და სკოლის სასწორი გაწონასწორებულია, მაგრამ როდესაც შინ ვარ, — სკოლისკენ ფიქრი გამომექცევა ხოლმე, აქ რომ ვარ (დამიჯერებთ?) შინისკენ — არა.

**— ქალბატონო ლალი, თუ თვლით თავს რეფორმატორ დირექტორად?**

— რადგან „ბალავარში" გატარებული რეფორმები ორიგინალური და ახალია საქართველოში, ალბათ, შემიძლია რეფორმატორ დირექტორად ჩავთვალო თავი."

**ესაუბრა მაია რაჭველიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ მოვიქცეთ ეკლესიაში?

დღეს ბევრი მიილტვის ეკლესიისაკენ. რა არი ეს? მოდა, სერიოზული ლტოლვა თუ ცნობისმოყვარეობა? მკაცრად ნუ განვსჯით. ყოველ შემთხვევაში, სულერთია, რამ მოგიყვანათ ეკლესიაში. მთავარია შიგ იყოთ თავდაჭერილი. აი, რამდენიმე რჩევა:

— ეკლესიაში წასასვლელად სწორად უნდა შეარჩიოთ ტანსაცმელი. არ ჩაიცვათ მინი, ღრმადამოჭრილი ან უსახელო კაბა, ვინაიდან ქრისტიანული რელიგიისათვის მისაღებია უბრალოება. უადგილოა შარვლის და მითუმეტეს, ჯინსის ჩაცმა. არ დაგავიწყდეთ თავსაფრის წაღება, მითუმეტეს, ზაფხულში, როცა თავზე ქუდი არ გახურავთ.

ქალებს კატეგორიულად ეკრძალებათ ეკლესიაში შესვლა მათთვის კრიტიკულ დღეებში.

— წასვლის წინ აუცილებლად გაიგეთ, რომელი საეკლესიო დღესასწაულია იმ დღეს. მართლმადიდებლებს ხომ მრავალი ასეთი დღესასწაული აქვთ. ამ ცნობებს აუცილებლად ნახავთ საეკლესიო კალენდარში.

— ეცადეთ, დაისწავლოთ რომელიმე მართლმადიდებლური ლოცვა, მაგალითად, საყოველთაოდ გავრცელებული „მამაო ჩვენო!“, შეიძლება ამან გაგიხსნათ ღვთის შეცნობისათვის საიდუმლო კარი.

— და კიდევ, ყველაზე მთავარი: განეწყვეთ ამაღლებულად. თქვენ ხომ დისკოთეკაზე არ მიდიხართ.

— კართან მისვლისას გადაიწერეთ პირჯვარი, ჩუმად, წყნარად დადექით თავისუფალ ადგილას. ეკლესიაში არ შეიძლება ხმამაღლა ლაპარაკი, ხმაური, რაიმეს დაგდება. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება. თუ თქვენ უნებურად ამგვარი შეცდომა დაუშვით და რომელიმე მოხუცმა ამის შესახებ მიგითითათ, არ გაუბრაზდეთ, უხეშად არ უპასუხოთ.

— თუ არ იცით წირვის დროს როგორ მოიქცეთ, უყურეთ სხვებს, როდის იწერენ პირჯვარს, როდის იყრიან მუხლს და თქვენც ისე მოიქეცით. თუ ამის გაკეთება არ გსურთ, თქვენი ნებაა, არავინ ძალას არ დაგატანთ.

— ეცადეთ, ყურადღებით მოისმინოთ მღვდლის სიტყვები. ყოველ შემთხვევაში ცუდს არაფერს მოისმენთ, გარდა ახლობლების სიყვარულის ქადაგებისა, არაადამიანური საქციელის: მკვლელობის, ძალადობის და ქურდობის დაგმობისა.

— სანთელი შესასვლელთან იყიდეთ, აარჩიეთ ხელსაყრელი მომენტი და ჩაარჭეთ იგი რომელიმე ხატთან. ხატი მრავალია, სხვადასხვა გაჭირვებაში დამხმარე. მაგალითად, ილია წინასწარმეტყველი ეხმარება ზღვაში გასულებს, გადაყრის ღრუბლებს, მოჰყავს ჭექაქუხილი, წვიმა. ნიკოლოზ სასწაულმოქმედი აბსოლუტურად ყველა სურვილს ასრულებს, წმინდა მარიამი ოჯახის ქალების, დედების მფარველია. არის ისეთი ხატიც, რომელიც ყველა ცოდვას შეგინდობთ.

— არაფრით არ ამოიღოთ სასანთლიდან სხვისი დაუმწვარი სანთელი, რათა იქ თქვენი აანთოთ.

— თუ გსურთ, მღვდელმა მოიხსენიოს თქვენი ცოცხალი ნათესავები ან გარდაცვლილები, დაწერეთ მათი სახელი ორ ქაღალდზე: ერთზე — ცოცხლების დღეგრძელობისათვის, მეორეზე — განსვენებულთათვის.

ჩადეთ მათში ცოტაოდენი ფული ეკლესიის საჭიროებისათვის და გადაეცით მღვდელს. წირვის გარკვეულ მომენტში მათ აუცილებლად მოიხსენებენ.

მოამზადა **ლია კაკაბაძემ**

ჭირსა შიგან გამაგრებსა...

# ნახევრად ღია კარი

ჩემი მეუღლე მთამსვლელი იყო. იგი დაიღუპა უშბაზე 1984 წლის 28 თებერვალს. გახსენებაც არ მინდა, როგორ შემატყობინეს ეს შემაძრწუნებელი ამბავი. შვიდი თვის ფეხმძიმე ვიყავი და გავქვავდი. ტირილი არ შემეძლო.

ის იქ არის, სადაც წყვდიადი და სამარისებური სიჩუმეა.

მე — ჩაბნელებულ ოთახში, სადაც გამეფებულა მარტოობა და გაუსაძლისი ტკივილი. სიცოცხლე არ მინდოდა, მაგრამ ბავშვი მელოდებოდა — მან რაღა დააშავა. როცა ბავშვი არ მოძრაობდა, შიში მიპყრობდა: „ღმერთო ჩემო, მოვკალი“ და მხურვალედ ვლოცულობდი: „ღმერთო, ერთხელაც მაპატიე“...

მამის ორმოცზე დაიბადა თამუნა. შვებით ამოვისუნთქე — ახლა კი შემეძლო საკუთარ თავზე აეზრუნა. კვლავ აჩრდილების სამყაროში ვიმყოფებოდი, მაგრამ მარტოს არასოდეს მტოვებდნენ. ჩავიკეტე ყველასაგან და ყველაფრისაგან: მხოლოდ ბავშვი იყო ჩემი ცხოვრების ერთადერთი აზრი. მას მივეცი სიცოცხლე, მან დამაბრუნა სააქაოს.

ადამიანზეა დამოკიდებული სტრესი გაანადგურებს თუ უფრო ძლიერს გახდის, ფსიქიკა ეხმარება, როცა არანაირი წამალი არ შველის. გამარჯვება სხვა არაფერია, თუ არა სწორი დამოკიდებულება მარცხისადმი.

მიედინება ფიქრები, აზრები... სად წაუხვალ? ადარებ, აანალიზებ, დასკვნებს აკეთებ. ცდილობ, არაფერი შეგეშალოს... და თუ მაინც შეგეშალა — კაცნი ვართ. როგორ უნდა მიხვდე ამას? ადამიანმა ხშირ შემთხვევაში არ იცის, თუ რა არის კარგი, რა — ცუდი. ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. ამიტომ ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გსურს თავად გადაგხდეს.

ხშირად მესმის: „ჩვენთან არს ღმერთი“. ღმერთი ყოველთვის ჩვენთან არის, მაგრამ ჩვენ კი ვართ მასთან? ადრე თუ გვიან ნებისმიერ ადამიანს ებადება კითხვები: „ვინ ვარ? საიდან მოვედი? სად მივდივარ?“ რთული და ეკლიანია ჭეშმარიტების ძიების გზა. ცრუ გზა მრავალია, ჭეშმარიტების კი — ერთი. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ. და თუ იპოვით, ეს გზა უსათუოდ ღმერთთან მიგიყვანთ, რამეთუ ღმერთი არს ჭეშმარიტება. ღმერთი არს ხსნა. თუ ღმერთთან არ ხარ — სატანასთან ხარ. შუალედი არ არსებობს.

ყოველი ადამიანის სულში ძევს რაციონალური მარცვალი, ჭეშმარიტი, ჯანმრთელი საწყისი. მჯერა ადამიანის სწორი არსებობის.

ნებისმიერი თავდაჯერებული სკეპტიკოსის, ჯიუტი ათეისტის გულში არის ისეთი კუთხე-კუნჭული, რომელსაც საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელს. უნდა მოძებნოთ ეს სუსტი ადგილი — ნახევრად ღია კარი, განგებ დატოვებული ღმერთის მიერ იმისათვის, რომ გაუიოლოს თავის ქმნილებას დაბრუნება ხვალინდელი დღის სახლში და გამოიყვანოს ძილქუშისაგან.

სკოლაში ვმუშაობ, ბავშვებთან მაქვს ურთიერთობა. იცით, რა კარგები არიან? მაგრამ მსურს, უფრო კარგები იყვნენ. მათი გულები ის ნოყიერი ნიადაგია, სადაც რასაც დასთეს, იმას მოიმკი, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. ო, ეს ყველაზე მადლიერი აუდიტორიაა. ხშირად უფროსებს არ ესმით, მათ — კი. წამოგიდგენიათ? და მიჩნდება იმედი, რომ ჩემი ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

„სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს“, — ბრძანა დოსტოევსკიმ. მაგრამ არა მხოლოდ. სიყვარული გადაარჩენს მსოფლიოს. სიყვარული მრავალმხრივია, ყველაზე დიდი ადგილი კი ღმერთს ეკუთვნის. ეს სიყვარულის უმაღლესი ფორმაა. სიყვარულის ქვედა საფეხური — ფიზიკური სიყვარულია. სიყვარული საოცრებაა — გინახავთ შეყვარებულის თვალები? — ორი მანათობელი ვარსკვლავი, საიდანაც საოცარი სითბო ილვრება და მთელ სხეულში საამო ჟრუანტელი ატანს? სიყვარულო! შენ ხარ შემოქმედება, შენ ხარ სრულყოფილება, შენ ხარ ჰარმონია!

ცხოვრებაში მეხმარება რწმენა. არა ფანტასტიკური. ჭეშმარიტი რელიგია არსებითად ხსნის ადამიანს, თავისუფალს ხდის. თავის უფალს. „ღვთის სასუფეველი თქვენშია“. ასეთი დრო დაგვიდგა — ლოცვისათვის არა გვცალია. არა გვცალია, რომ ღმერთს ველაპარაკოთ, ცოდვები მოვინანიოთ. და მაინც ამისათვის უნდა მოვიცალოთ. ნუ დაგვავიწყდება — ღვთის სასჯელი ძალიან მკაცრია. მაცხოვარმა შეამსუბუქა ეს სასჯელი ჯვარცმით და აღდგომით. სიკვდილი ძლიერია. ის მოდის შენთან. უხმოდ დგება სასთუმალთან, ჩუმად გიმზერს საზარელი თვალებით, დაუნდობლად ეუფლება მთელ შენს სხეულს. შეუბრალებლად გწურავს. უკანასკნელ ძალას გაცლის. თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვები უფსკრულში. ის შავია, ჩუმი და შემზარავი. უძლურად გრძნობ თავს. ლონემიხდილს შიში გიპყრობს. უცებ აღმომხდა: „ღმერთო!“ მთელი ჩემი არსებით ღვთის ნებას მივენდე. ჩუმად ვლოცულობ. უკვე არაფრის არ მეშინია. ვიცი — ამ საშინელი უფსკრულის იქით ნათელია, სიწმინდეა, ნეტარებაა. სიკვდილი ძლიერია, მაგრამ არა ყოვლისშემძლე.



ზ. დათუაშვილის ფოტო

მოულოდნელი იყო ჩემთვის დაბრუნება. ასე ინება ღმერთმა. რატომ? დაბნეული ვიყავი. ჯერ კიდევ უნდა გამეთვითცნობიერებინა ყოველივე. რა იყო ეს? შორს ჰორიზონტზე მოჩანდა უსახო თეთრი ლანდები — თავჩაქინდრული, ულონოდ მხრებჩამოყრილი. ვიცოდი — იქ ყველა ჩემი ახლობელი იყო. ჩვენ გვყოფდა გადაულახავი სივრცე. ისინი სხვა განზომილებაში იყვნენ, მე სხვა. საკუთარ თავზე არ მიფიქრია. ისინი მელოდებოდნენ. ვიცოდი ჩემობა გაუჭირდებოდათ. და ეს საშინლად მტანჯავდა.

თვალთ ცრემლი მადგა. არ მეგონა, ადამიანს ასეთი გრძნობების გამოხატვა თუ შეეძლო. დაგიბრუნდით. მიიღეთ ჩემი მოკრძალებული სალამი.

მე მყავს პატარა მეგობარი — სამი წლის რეზიკო. ჭკვიანი, კეთილი და ლამაზი ბიჭუნაა. მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ. ერთხელ მეკითხება: „მზია, ანათებ?“ დავიბენი. არ ვიცოდი რა მეპასუხა. „ეგ როგორ?“ „აი როგორც მზე“, — ამიხსნა რეზიკომ. გამეღიმა. „არა, რეზო, მზე ანათებს როგორც მზე, მზია ანათებს როგორც მზია“. მეტი კითხვა არ მოუცია. მან გაიგო. თქვენ?

**მზია მინაძე**

კონსულტაცია ფსიქოლოგთან

# სიყვარულის ანა-ბანა



**ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, სიყვარულზე თავისი აზრი არ გამოეთქვას. რამდენი ადამიანიც დადის დედამიწის ზურგზე, სიყვარულსაც იმდენი ახსნა აქვს, და ყველა ეს განმარტება თავისებურად ჭეშმარიტი და მშვენიერია. სიყვარული ტანჯვაა, — კვნესიან ერთნი. სიყვარული აღმაფრენაა, — ღუღუნებენ მეორენი და სადღაც, ცაში დაფრინავენ. მათ ხომ ფრთები სიყვარულმა შეასხა. მაგრამ ხშირად იმედგაცრუებულნი მიწას ენარცხებიან და შემდეგ... დამსხვრეული ოცნებები, გაბზარული გულები... თუმცა, ადრე თუ გვიან ღიმილი და სიცოცხლის სურვილი ისევ ამ საოცარ, აუხსნელ გრძნობას — სიყვარულს დაუბრუნებია.**

**და მაინც, რა არის სიყვარული? რა ვიცით მის შესახებ, ან ვიცით კი რამე? დაბადებიდან თან დაგვყვება თუ ღვთის საჩუქარია? ან იქნებ ისიც ისევე უნდა „შევიძინოთ“, როგორც, ვთქვათ, ცოდნა?**

**მწერლებს და პოეტებს ნუ „დაუჯერებთ“, გრძნობებს აყოლილი ხალხია, მეცნიერებს მოვუსმინოთ.**

**ცნობილი ფსიქოლოგი ერიხ ფრომი თვლის, რომ სიყვარული არც მეტი არც ნაკლები — ხელოვნებაა. ამრიგად, ჩვენ ისევე უნდა დავეუფლოთ სიყვარულს, როგორც ხელოვნების ნებისმიერ დარგს — მუსიკას, მხატვრობას.**

**თუ არ ვისწავლეთ, არასოდეს გვეცოდინება. უმეცრების უკუნეთში შეიძლება კისერიც მოვიტეხოთ. მით უფრო, როცა საქმე სიყვარულს ეხება. და თუ, როგორც შოპენჰაუერი ამბობს, „სინათლის ერთი სხივია საკმარისი სიბნელის გასაფანტად“, მოდით, ერთად ვიპოვოთ ეს სხივი. მივყვეთ მას და აუცილებლად მივალთ ჭეშმარიტებამდე.**

**და მაინც, რა არის სიყვარული?**

**ამის გარკვევაში დასახმარებლად ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს მაკა ხარშილაძეს მივმართეთ:**

*

—შეიძლება ითქვას, რომ სიყვარული ხელოვნებაც არის და ღვთის წყალობაც. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ცნობილი ფილოსოფოსი ჯერი ჯამპოლსკი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა სიყვარულის ფენომენზე. მან სპეციალური ლექციების კურსი მიუძღვნა სიყვარულს და „სასწაულების კურსი“ უწოდა. მეცნიერი თვლის, რომ სიყვარულის უნარი თანდაყოლილია, თუმცა ზოგიერთი ადამიანი ვერ შეიგრძნობს მას, რადგან თავდაპირველად ეს გრძნობა ადამიანში სუსტად არის განვითარებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიყვარულის თესლი ყველა ინდივიდშია, მაგრამ მას გაღვივება სჭირდება. როგორ განვითარდება სიყვარული, ან საერთოდ, თუ განვითარდება, პიროვნებაზეა დამოკიდებული. მოგეხსენებათ, ადამიანი იბადება მეტყველების უნარით, მაგრამ თუ შესაბამისი გარემო არ ექნება, შეიძლება არ ალაპარაკდეს. თანდაყოლილ უნარს განვითარება, დახვეწა სჭირდება. როგორც ფრომი ამბობს, ეს მართლაც ხელოვნებაა. ჩვენ უნდა დავხელოვნდეთ, ვისწავლოთ სიყვარული. სიყვარული უსაზღვროა, არანაირ ჩარჩოში არ თავსდება. მივცეთ ამ უმშვენიერეს გრძნობას განვითარების, ფრთების გაშლის საშუალება. სწორედ სიყვარულია ყველაფრის საფუძველი, ჩვენი არსებობის აზრი და ამით განვსხვავდებით ცხოველისაგან.

**— სიყვარული უნდა ათავისუფლებდეს ადამიანს ეგოიზმისაგან. სიყვარული ნიშნავს — გასცე და არა მიიღო. იზრუნო სხვაზე და არა მხოლოდ შენს თავზე. შეგეძლოს მოთმენა, იყო ერთგული, ობიექტური, დამთმობი... ბევრს ხომ არ ვითხოვთ შეყვარებულისაგან?**

— დიახ, როცა გიყვარს, საკუთარი თავი, სიამოვნება, ინტერესები მეორე ადგილზე ინაცვლებს. ცდილობ, ყველაფერი გააკეთო საყვარელი ადამიანისათვის, სატრფო იქნება ის, შვილი თუ მეგობარი. ამდენად, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თქვენ იჩაგრებით, მთელ ცხოვრებას სწირავთ „ვიღაცას“. ამ შემთხვევაში მთავარია, რას განიცდით პირადად თქვენ. ყური დაუგდეთ გულს, რას გეუბნებათ მისი ფეთქვა? ხართ თუ არა ბედნიერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიჭებთ თუ არა სიხარულს „იმ სხვაზე“ ზრუნვა? თუ ეს ასეა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობს თქვენზე მეზობელი ან თანამშრომელი. სიყვარული მართლაც უანგარო და უპრეტენზიოა. გასცემ და არა ითხოვ. სიყვარული ამდიდრებს, ავსებს ადამიანის სულს. იქ, სადაც სიყვარულია, მხოლოდ და მხოლოდ სულიერ სრულყოფაზე, სიკეთეზე, თანაგრძნობაზე შეიძლება საუბარი.

ადამიანი უანგაროდ უნდა ზრუნავდეს სხვაზე. სწორედ უანგარო სიყვარულის შედეგად გაჩნდა ქველმოქმედება, მეცენატობა. გავიხსენოთ თუნდაც დედა ტერეზა, რომელიც ნამდვილად მოვლენა იყო.

თუ ადამიანს არ აქვს სურვილი, დაეხმაროს სხვას (მინდა ხაზი გავუსვა — უანგაროდ), გაუნაწილოს მას სითბო და სიყვარული, მაშინ საქმე გვაქვს ეგოისტ ინდივიდთან. ამას ფსიქოლოგები სულიერი საწყისის უქონლობას უწოდებენ.

**— სიყვარულს სასწაულების მოხდენა შეუძლიაო. რა იგულისხმება სასწაულში?**

— სიყვარული კათარზისია. ადამიანი სასიკეთოდ იცვლება. როცა ჩვენ ისეთ რამეს გავაკეთებთ (იგულისხმება კარგი საქმე), რასაც ადრე ვერც კი წარმოვიდგენდით ჩვენივე პიროვნული თვისებების გამო, ეს უკვე თავისთავად სასწაულია. ჯამპოლსკიმ შემთხვევით არ უწოდა ლექციების კურსს „სასწაულების კურსი“. სტუდენტობისას მეცნიერმა სრულიად უცნობ ტუბერკულოზიან ავადმყოფს, რომელსაც პირიდან სისხლი სდიოდა და ილუპებოდა, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა. თავად ჯამპოლსკი ასე აღწერს ამ ამბავს: „სიყვარულმა დამძლია ჩემი შიში იმისა, რომ ავადმყოფობა გადამედებოდა. მე ვიყავი უბედნიერესი ადამიანი, პაციენტი გადარჩა. მან მასწავლა მოყვასის სიყვარული და თავგანწირვა ამ სიყვარულისათვის“.

განა არ არის ეს სასწაული?

თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გააკეთოს არჩევანი — სიყვარული თუ სიძულვილი, სიხარული თუ სევდა, სიკეთე თუ ბოროტება. სწორედ ამაში გვეხმარება სიყვარული.

**— ფროიდისათვის სიყვარული სექსუალური ფენომენია. „ადამიანი საკუთარი გამოცდილებით მიხვდა, რომ სქესობრივ სიყვარულს ყველაზე დიდი სიამოვნება მოაქვს. ასე რომ, თავის ბედნიერებას სექსუალურ ურთიერთობებში ხედავს და ეძებს“.**

**ეს მოსაზრება აბსოლუტურად განსხვავდება იმისაგან, რაზეც აქამდე ვსაუბრობდით. ან იქნებ სიყვარულიც ცოცხალ არსებასავით არის — აქვს ფიზიკური და სულიერი მხარე?**

— შეიძლება ასეც ითქვას, რადგან სექსი და სიყვარული ურთიერთდაკავშირებულია. „პაწაწინა ატომმა პირისაგან მიწისა ალგავა ქალაქი ხიროსიმა. ადამიანის სექსუალური ენერგიის ატომს შეუძლია ცოცხალი არსების შექმნა. ასე რომ, სექსი ატომურ ყუმბარაზე ძლიერია“.

შესაძლებელია, ადამიანების ურთიერთლტოლვა სექსუალური მოთხოვნილებით იყოს გამოწვეული. ხშირად ეს ლტოლვა როგორც სიყვარული, ისე აღიქმება და ერთმანეთში ერევათ. თუმცა ხანდახან სექსუალური ლტოლვა ჭეშმარიტ სიყვარულში გადაიზრდება. სექსს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სექსუალური ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, ჯადოსნური ურთიერთობაა. მისი ენერგია ახალ სიცოცხლეს ბადებს. იგი ავსებს სიყვარულს. ამრიგად, ფროიდი მართალი არის, მაგრამ ნაწილობრივ. ადამიანისათვის სექსის გარდა არსებობს კიდევ სხვა ფასეულობანი. სიყვარულით მიღებული სიამოვნება ბევრად უფრო ღრმა და ფაქიზია, სექსით მიღებულ სიამოვნებასთან შედარებით. თუმცა, კვლავ ვიმეორებ, სექსუალური ლტოლვის სწორად გააზრება სიყვარულს უფრო მდიდარს და სრულფასოვანს ხდის. ინტიმური, სექსუალური ურთიერთობა აუცილებელია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისათვის.

სექსზე საუბარი ოჯახებში სამწუხაროდ არ არის მიღებული. არადა, ადრე თუ გვიან ბავშვს უჩნდება უამრავი კითხვა. რაც უპასუხოდ რჩება, პატარის ცნობისმოყვარეობა კი ძლიერდება. იგი იძულებულია, საჭირო „ინფორმაცია“ ქუჩაში „მოაგროვოს“. ალბათ დადგა დრო, ჩვენს ბავშვებს გარკვეული ცოდნა ამ საკითხებთან დაკავშირებით დელიკატური ფორმით მივაწოდოთ.

**— სიყვარული და ეჭვიანობა. არის თუ არა ეს ორი გრძნობა განუყოფელი, ერთმანეთის თანამგზავრი?**

— როცა გიყვარს, აუცილებელი არ არის ეჭვიანობდე. ხშირად უთქვამთ: ვეჭვიანობ, რადგან მიყვარხარო. არ დაუჯეროთ. ეჭვიანობა სიყვარულის საზომად არ გამოდგება.

თავად ეჭვიანი ადამიანიც იტანჯება ამ გრძნობით. მინდა ორიოდე რჩევა მივცე მათ. თუ თქვენს რჩეულს სხვა მოეწონა, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, დამშვიდდით, დაფიქრდით, იქნებ ის „ვიღაც სრულებითაც არ არის სერიოზული მეტოქე. ან იქნებ თქვენი სატრფო შეგნებულად იქცევა გამომწვევად, რადგან აინტერესებს თქვენი რეაქცია. მაგრამ თუ მიხვდებით, რომ საქმე ცუდადაა და თქვენი შეყვარებული სხვას უთმობს მეტ ყურადღებას, მიზეზი ისევ თქვენშივე ეძებეთ. იქნებ არ ხართ იმ „სხვასავით“ ყურადღებიანი, დამთმობი და ა. შ. ეცადეთ, აჯობოთ თქვენს მეტოქეს. ნუ გაამწვავებთ ურთიერთობას: ეჭვიანობით შეიძლება დაკარგოთ საყვარელი ადამიანი.

**— ჭეშმარიტი სიყვარული ერთადერთია, თუ სიცოცხლის მანძილზე შეიძლება რამდენჯერმე გიყვარდეს?**

— გააჩნია. არის ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთზეა შეყვარებული, თუნდაც მისი გრძნობა უპასუხოდ რჩებოდეს. და არის ადამიანი, რომელსაც რამდენჯერმე შეუძლია შეიყვაროს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველთვის გულწრფელად. ასეთ ადამიანებს ძალუძთ, სიყვარულით იმედგაცრუებულებმა კვლავ შეიყვარონ ვიღაც. ეს მათ სულიერ სიმტკიცეზე მიგვანიშნებს და, ვფიქრობ, დასაფასებელია. თუმცა მე მათში არ ვგულისხმობ ისეთებს, ვისაც „დღეს ერთი უნდა, ხვალე სხვა“. ეს უკვე გარყვნილებაა.

**ჩვენ ვიბადებით ადამიანებად. მიუხედავად უამრავი უსამართლობისა, ტკივილისა, ცრემლისა, დავრჩეთ ადამიანებად, ვისწავლოთ სიყვარული, ვიცხოვროთ ამ საოცარი გრძნობით, რომელიც ერთმანეთს კარგი კუთხით დაგვანახებს და შეგვაყვარებს, მრავალ დარდსა თუ ჭირს შეგვიმსუბუქებს, სიცოცხლეს გაგვილამაზებს.**

**დედამიწის ზურგზე თუ რამ ფასეული და არაჩვეულებრივი შექმნილა, ყველაფრის საფუძველი სიყვარულია.**

**მოდით, ვისწავლოთ სიყვარული. რადგან „უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე“...**

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამაკაცის უშვილობა

## ი. ჟორდანიას ინსტიტუტში ხდება ამ დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა

უშვილო ქორწინება მხოლოდ ოჯახური ტრაგედია არ გახლავთ და მას ფართო სოციალური მნიშვნელობა ენიჭება. მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით მამაკაცის მიზეზით გამოწვეული უშვილობა 30-40 პროცენტით განისაზღვრება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უშვილობის მიზეზი შეიძლება ერთდროულად იყოს ცოლიც და ქმარიც, მაშინ გასაგები გახდება, რომ უშვილო ქორწინების შემთხვევათა თითქმის ნახევარი მამაკაცის მიზეზითაა გამოწვეული.

მამაკაცის უშვილობა მამაკაცის მიერ შთამომავლობის შექმნის უნარის დაკარგვაა. იგი შეიძლება განპირობებული იყოს ორი ძირითადი ფაქტორით. პირველი, როდესაც მამაკაცი კარგავს სქესობრივი შეუღლების უნარს და მეორე, როდესაც მამაკაცს ეს უნარი აქვს, მაგრამ მისი სათესლე ჯირკვლები ვერ წარმოქმნის ან წარმოქმნის მეტად მცირერიცხოვან სპერმატოზოიდებს.

ანდროლოგია ის მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის მამაკაცის რეპროდუქციულ ფუნქციას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დარღვევებს. ჩვენი ინსტიტუტის გახსნისთანავე, 1958 წლიდან, ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული ანდროლოგიის ლაბორატორია (ხელმძღვანელი მედ. მეცნ. კან. თ. ბეგიაშვილი), ხოლო შემდეგ მის ბაზაზე შეიქმნა სპერმატოლოგიის, შემდეგ კი პირველი და ერთადერთი კლინიკური ანდროლოგიის განყოფილება. კლინიკური ანდროლოგიის განყოფილების ყოველდღიური მუშაობა მოიცავს მამაკაცის უშვილობის პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკას და მკურნალობას. ძირითადი ყურადღება ეთმობა პირველი ჯგუფის ე. ი. ანთებითი დაავადებებით და ჰორმონალური დარღვევებით გამოწვეული უშვილობის მკურნალობას. ანთებით გამოწვეული უშვილობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ყბაყურა, ინფექციური ჰეპატიტი, წითელა, მალარია, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ვენერიული დაავადებანი, ტრავმები, ვარიკოცელე. პროსტატიტი, ნარკომანია, ალკოჰოლის მიღება, თამბაქოს წევა, როგორც ცნობილია, ყბაყურა ხშირ შემთხვევაში რთულდება სათესლე ჯირკვლების ანთებით (ცალმხრივი ან ორმხრივი,) რასაც ზოგჯერ სავალალო შედეგამდე მივყევართ.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი უშვილობა, რომელიც განპირობებულია ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევით. სათესლე ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითება შეიძლება იყოს თანდაყოლილი (სათესლე ჯირკვლების ცალმხრივი ან ორმხრივი არარსებობა). ან შეძენილი (ანთებითი, სიმსივნური პროცესების და სხვათა შედეგად).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ავადმყოფი გამოსაკვლევია მაქსიმალურად — სპეციალური ტესტებით, რათა დაისვას ზუსტი დიაგნოზი და მის საფუძველზე შეირჩეს მკურნალობის ზუსტი კურსი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშვილო მამაკაცები ხშირად ხვდებიან „შემთხვევითი სპეციალისტების“ ხელში, რომელთა მიერ ჩატარებული არაკვალიფიციური გამოკვლევები და მკურნალობა უმრავლეს შემთხვევაში იძლევა მძიმე შეუქცევად შედეგს. ასეთი „შემთხვევითი“ სპეციალისტები, უპირველეს ყოვლისა, ვერ აფასებენ სპერმის ვარგისიანობას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ იცნობენ სპეციალურ ლიტერატურას და მეთოდებს და გარდა ამისა, არ გააჩნიათ ის სრულყოფილი აპარატურა, რომელიც საჭიროა სპერმის სრულყოფილი ანალიზისათვის. ამჟერად ჩვენს ინსტიტუტში სპერმის ანალიზი წარმოებს რესპუბლიკაში არსებული ერთადერთი კომპიუტერული ანალიზატორის მეშვეობით, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული კრიტერიუმების შესაბამისად. გარდა სპერმის ანალიზისა, უნაყოფობის მიზეზის დასადგენად აუცილებელია მამაკაცის ყოველმხრივი შესწავლა ჰორმონალური, ბაქტერიოლოგიური, ექოსკოპური, უროლოგიური, რენტგენოლოგიური და სხვა მეთოდების გამოყენებითაც, რაც სამწუხაროდ, ინსტიტუტის სპეციფიკის გათვალისწინებით, დღეს მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტში ტარდება. მხოლოდდამხოლოდ ასეთი მიდგომა იძლევა მამაკაცის უნაყოფობის ეფექტური მკურნალობის საშუალებას, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ინსტიტუტის მონაცემებით უნაყოფო მამაკაცთა 60-70 პროცენტი იკურნება.

ამჟამად უშუალო კონტაქტი გვაქვს საერთაშორისო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციასთან (ერთობლივი სიმპოზიუმები, კონფერენციები), რომლის მოქმედ ცენტრსაც ჩვენი ინსტიტუტი წარმოადგენს. ამ ორგანიზაციასთან არსებულ ანდროლოგიის სექციას კი კურირებს ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, მედ. მეც. დოქტორი, ბატონი ა. ხომასურიძე. ინსტიტუტის განყოფილების უშუალო მონაწილეობით ითარგმნა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც შეეხება უშვილო მამაკაცების გამოკვლევას და დიაგნოსტიკის უახლეს მონაცემებს.

**თამაზ დოლიძე,**
**კლინიკური ანდროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მედ. მეცნ. კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრაქტიკუმი მშობლებისათვის

# დამოუკიდებლობა



ზ. დათუაშვილის ფოტო

ზრდა, უპირველეს ყოვლისა, ყველაფრის თვითონ კეთების სწავლაა. ბავშვობის მთავარი თავისებურება ხომ პატარების უფროსებზე დამოკიდებულებაშია. გაზრდა — ნიშნავს დამოუკიდებლობის შეძენას.

სწორედ ზრდაში დახმარებაა მშობლების მთავარი ამოცანა, ამ ამოცანასთან თითქოს საერთო არაფერი აქვს ჩვენს მცდელობას ბავშვს დამოუკიდებლად დაბანა ან ჩაცმა ვასწავლოთ. მართლაცდა, ჩვენ მოვინდომებთ თუ არა მივაჩვიოთ ბავშვი დაუხმარებლად ჩაიცვას, ბოლოს და ბოლოს, იგი მაინც მიეჩვევა. როცა ამ პრობლემას ვწყვეტთ, იმის კი არ გვეშინია, რომ პატარა ვერასოდეს ჩაიცვამს ჩვენს დაუხმარებლად, არც იმის გამო ვიქცევით ასე, რომ საქმე მოვიკლოთ, არამედ გვსურს, წავაქეზოთ პატარა დამოუკიდებლად იაზროვნოს და იმოქმედოს.

გთავაზობთ ხუთ საერთო რეკომენდაციას, რომლებიც ყოველთვის გამოგადგებათ იმაში, რომ ბავშვი დამოუკიდებლობას მიაჩვიოთ.

1. ნუ ვიმოქმედებთ ძალდატანებით. 2,5 — 3 წლის ბავშვს თავისი ხელით გახდა კი შეუძლია, მაგრამ ჩაცმას მხოლოდ 5-6 წლიდან თუ შეძლებს. ის კი არა — 6 წლის ბავშვსაც ძალიან სიამოვნებს, თუკი ხანდახან ჩაცმაში დედა წააშველებს ხელს.

რაიმეს გაკეთებისათვის ბავშვის იძულება სრულიადაც ვერ შემატებს მას დამოუკიდებლობას.

2. მიბაძვა — დიდი ძალაა. თუ ბავშვს ხანდახან ნებას დართავთ, საძილე ოთახში ან აბაზანაში შემოვიდეს, როცა თქვენ იცვამთ, ნახავს, რომ თქვენც იმასვე აკეთებთ, რასაც მისგან ითხოვთ. დაე, შემოიტანოს თავისი ტანსაცმელი და იქვე ჩაიცვას. თუ რამეში თქვენს დახმარებას მოისურვებს, უარს ნუ ეტყვით.

3. ყოველთვის სასარგებლოა რაიმე წარმატებისათვის ბავშვის შექება, მოფერება, საალერსო სიტყვით წახალისება.

თუ ბავშვი დაბანილი და დავარცხნილი ამაყად შემოვა თქვენთან, არასოდეს დაიშუროთ საქებარი სიტყვები და თავი შეიკავეთ შენიშვნისაგან, თუნდაც მისი ვარცხნილობა არ მოგეწონოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას თავისი შესაძლებლობების რწმენა დაეკარგება.

4. ყურადღება მიაქციეთ ზოგიერთ საყოფაცხოვრებო წვრილმანს.

ბავშვი, როგორც წესი, ვერ წვდება ხელსაბანს, ან ტანსაცმლის საკიდარს. გაუკეთეთ სპეციალური სადგარი ხელსაბანთან, ეცადეთ ტანსაცმლის საკიდარი მისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე მიამაგროთ. ეს დაეხმარება ბავშვს დამოუკიდებლად იმოქმედოს.

5. რა თქმა უნდა, შეაქეთ პატარა იმისათვის, რომ დამოუკიდებლად დაიბანა პირი, დაივარცხნა თმა, მაგრამ აუცილებელია იმის შთაგონებაც, რომ ყოველივე ეს ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა და მეტი არაფერი. თუ ძალიან დავიჟინებთ და განსაკუთრებულად გავამახვილებთ ყურადღებას, რომ გინდა თუ არა, კბილები დამოუკიდებლად გაიხეხოს ან თავად ჩაიცვას, ამით უნებლიეთ ვზრდით ამ უბრალო პროცედურათა მნიშვნელობას. არაიშვიათად ისეთი ტონით ვუცხადებთ ბავშვს, რომ დაბანის დრო დადგა, თითქოს რაღაც განსაკუთრებული ღონისძიება ჩასატარებელი. თუ ჩვენ თვითონ წყნარად და მშვიდად ვაკეთებთ ყოველივე ამას, ბავშვიც ასევე მშვიდად აღიქვამს ამ პროცედურას. თუ მისი მხრიდან წინააღმდეგობას ვაწყდებით, უნდა მოვიფიქროთ რაიმე. ვთქვათ ასე: დაბანის შემდეგ მომეხმარე სუფრის გაწყობაში, ოღონდ სწრაფად ჩაიცვი, თორემ გასაკეთებელი აღარაფერი დაგრჩება.

რადგან ეს პროგრამა პიროვნების დამოუკიდებლობის საერთო ფორმირების ნაწილია, უნდა დავასკვნათ, რაც უკეთესად წარიმართება ჩვენი ურთიერთობა ბავშვთან, მით უფრო ეფექტური იქნება ეს პროგრამა.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ბავშვი დამოუკიდებლად აზროვნებას შევაჩვიოთ. ამას პირადი მაგალითით შევძლებთ.

**ალან ფრომი,**
**„ანბანი მშობლებისათვის“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### იყავით ჯანმრთელი!

## თევზის ქონი დიდებისათვის

დავიწყებული თევზის ქონი ისევ მოდაში შემოვიდა, მაგრამ დიდებისთვის. ის ამცირებს ქოლესტერინს და ტრიგლიცერინებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და არტერიების მდგომარეობას. გამოიყენება გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების სამკურნალოდ.

მეცნიერული გამოკვლევები ჩაატარეს გრენლანდიის ესკიმოსებზე. ისინი დღეში 490 გრამ თევზს ღებულობენ და იქ გულის ინფარქტის შემთხვევები სხვა ქვეყნებთან შედარებით თითქმის 50 პროცენტით ნაკლებია.

თევზის ქონი შესანიშნავი საშუალებაა გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისათვის, ხოლო ჩვილ ბავშვთათვის მიუღებლად მიგვაჩნია, მით უფრო ყოველ დღე. სრულიად საკმარისია კვირაში ორჯერ.

## გულის შუილები

ბავშვებს, განსაკუთრებით სამი წლიდან ზოგჯერ აქვთ გულის შუილები. ეს უცოდველი დაავადებაა, რაც გამოწვეულია არა გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებით, არამედ გულის კუნთის ფუნქციური ცვლილებებით. ზრდის პროცესში გულის ზოგი ნაწილი შეიძლება სხვებზე ჩქარა განვითარდეს. ამ დროს გულის მწვერვალზე სისხლის მიმოქცევა ფერხდება და მოსმენის დროს ინტერვალები არარეგულარულია, ისმის ხმაური, მაგრამ გახსოვდეთ, ეს არ არის სერიოზული გართულება. ბავშვის ზრდა არ ფერხდება, არ უჭირს სუნთქვა. ამ სახის შუილები ასაკთან ერთად ქრება და კვალსაც არ ტოვებს.

თარგმნა **მაია ფეიქრიშვილმა**

**იტალიურ ქალთა ჟურნალიდან სპეციალურად „საქართველოს ქალისათვის“.**

# ჰეპატიტი — ვერაგი დაავადება



**დაბინძურებული გარემო, ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობა, სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილი უვარგისი საკვები ნოყიერი ნიადაგი გამოდგა ჰეპატიტის გასავრცელებლად.**

**გვესაუბრება ინფექციური პათოლოგიის ცენტრის მე-5 განყოფილების გამგე მანანა ლომიძე.**

**ოცდაოთხი წელია ამ დარგში მოღვაწეობს ქ-ნი მანანა — რეანიმატოლოგად, ნეიროინფექციონისტად, ცამეტი წელია ამ განყოფილების ხელმძღვანელია.**

**— ქ-ნო მანანა, რას მივაწეროთ ინფექციური დაავადებების მომრავლება და რომელია უფრო გავრცელებული?**

— სოციალური პირობების გაუარესებას, ეპიდემიური რეჟიმის დარღვევას. ინფექციური დაავადებებია: ვირუსული ჰეპატიტები, დიზენტერია, ქოლერა, სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციები და მრავალი სხვა. ამათგან ყველაზე საშიში და გავრცელებულია ვირუსული ჰეპატიტები. როგორც კი ავადმყოფი შეამჩნევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში დისკომფორტს (გულის რევა, მარჯვენა ფერდქვეშა არეში და ეპიგასტრიუმის ტკივილი, საერთო სისუსტე, ოფლიანობა, სახსრების ტკივილი, ქავილი, გამონაყარი), სიყვითლე არაა აუცილებელი პირობა, დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტარდეს ლაბორატორიული გამოკვლევები ინფექციური პათოლოგიის ცენტრში (ექოლოგიური, ვირუსოლოგიური და ბიოქიმიური), ჰოსპიტალიზაცია, აყვანილ იქნას აღრიცხვაზე, რომ არ გაავრცელოს ეს ვერაგი დაავადება. დროულად დასმული სწორი დიაგნოზი სასურველი შედეგის გარანტია, თუმცა გამონაკლისი აქაც გვხვდება.

**— და მაინც, რა არის ეს ქრონიკული ჰეპატიტები და რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ, როგორია მისი პროფილაქტიკა, შეიძლება თუ არა მისი თავიდან აცილება?**

— ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტები მსოფლიო პრობლემაა დღეს. მრავალი მრისხანე დაავადება თითქმის აილაგმა, ჰეპატიტები კი — ვერა და ვერა. ჰეპატიტები, ისე როგორც ვენერიული დაავადებანი, გადადის სქესობრივი კავშირით, ნერწყვით, ლორწოვანი გზებით, სამწუხაროდ სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციებით. საზოგადოებრივ კვების დაწესებულებებში ჭურჭელი უნდა გამოვიყენოთ ერთჯერადი, ოჯახის პირობებში — ავადმყოფისათვის ცალკე გამოვყოთ. ჰეპატიტების რამოდენიმე სახეობაა, მათგან ყველაზე საშიშია B, C, D, დამატებით A, F და G სახეობაც გვხვდება. სამწუხაროა, რომ ამ დაავადებებს კურნავს ძვირად ღირებული მედიკამენტები, რაც დღევანდელი ხელმოკლე მოსახლეობისათვის ძნელად ხელმისაწვდომია.

**— დაბინძურებული გარემო, მძიმე ეკოლოგიური პირობები, ირგვლივ გამეფებული ანტისანიტარია, ელემენტარული ჰიგიენური წესების უგულებელყოფა ბაზარში, სხვადასხვა ქვეყნებიდან განუკითხავად შემოზიდული უვარგისი საკვები — რას გვიქადის?**

— დიდ უბედურებას. ნამდვილ გენოციდს. ბოლო ხანებში მეტად გავრცელდა ნაწლავური ინფექციები და ვირუსული ჰეპატიტები. განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა C ჰეპატიტმა, ე. წ. „ალერსიანმა მკვლელმა", რომელიც მიმდინარეობს ფარულად, უსიყვითლოდ. იგი მომავალი თაობისათვის დამღუპველია, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მისი თავიდან ასაცილებლად. ადამიანების კეთილსინდისიერებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, თუმცა ეს პრობლემა თავისი მნიშვნელობით სახელმწიფოებრივია. ახლახან შეიქმნა სანიტარული ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. სახელმწიფომ გამოყო თანხები, მომავალი წლიდან უფასოდ გაეწევათ მკურნალობა ვირუსული ჰეპატიტებით, დიფტერიითა და ზოგიერთი ინფექციებით დაავადებულთ.

**— რა აზრის ბარძანდებით ხალხურ მედიცინაზე. ახლა ძალზე მოდურია ჰომეოპატიური მკურნალობა, იქნებ ჰეპატიტსაც შველიან?**

— საქართველოში ხალხურ მედიცინას დიდი ხნის ისტორია აქვს. საქვეყნოდ აღიარებული, გამოცდილი, ლიცენზირებული საგვარეულო წამლები გვაქვს, მაგალითად უებარი თურმანიძის მალამო, მაგრამ მათ სახელებს ბევრი შემთხვევითი შარლატანაცაა ამოფარებული, ასეთებს უნდა მოვერიდოთ. მათი გადამკიდე, საბედისწერო შედეგებისგან არა ვართ დაზღვეულნი. ვიღაცა ჰეპატიტებს მაწონზე დამზადებული წამლით მკურნალობს, ამაზე დიდი უბედურება რა შეიძლება იყოს. დღეს რომ ვინმემ ჰეპატიტი B და C განკურნოს, ნობელის პრემია არ ასცდება. ასეთივე აზრის ვარ ბიოდენებზე. ამ ინფექციებით დაავადებული ექიმბაშები ჩვენთან მოდიან, სხვებს კი თამამად „მკურნალობენ". ჩვენ, მედიკოსები, ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს ჰეპატიტით დაავადებულ ავადმყოფს, მაგრამ ზოგჯერ უმწეონი ვართ.

**— სად შევიძინოთ მედიკამენტები?**

— ჯერჯერობით ეს საკითხი მოსაგვარებელია. ნაკლებეფექტურია ბულგარული და ინდური წარმოების წამლები, ვერიდებით მათ გამოყენებას. ძირითადად გადასხმები გვჭირდება, რომელიც აგრეთვე არასაიმედოდაა დამზადებული ზოგიერთ ქვეყნებში — კერძო ფირმებში, ოჯახებში, კუსტარული მეთოდების გზით, საუბედუროდ ეს მანკიერი მხარე ჩვენთანაც იკიდებს ფეხს. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი წესით დამზადებულ წამლებს გაცილებით მაღალი ფასი ადევს. ყველაზე საიმედოა გერმანული და ფრანგული მედიკამენტები. კვალიფიციური ფარმაცევტის თვალს არ გამოეპარება მისი ვარგისიანობა. ეს გლობალური საკითხია, ერთ კითხვაში ვერ ამოწურავ.

**— ქ-ნო მანანა, ბოტულიზმის შემთხვევები თუ გქონიათ?**

— ეს დაავადება უფრო ხშირია ზამთრის პერიოდში, როცა დაკონსერვებული პროდუქტების მოხმარება იწყება. მას თავიდან ავიცილებთ, თუ ოჯახის პირობებში დამზადებულ ნებისმიერ კონსერვს 15-20 წუთს გადავადუღებთ.

**— ვიდრე შეგხვდებოდით, თქვენს შესახებ რამდენიმე პაციენტს გავესაუბრე. ყველამ ერთხმად აღნიშნა მაღალი პროფესიონალიზმი, გულმხურვალება, უანგარობა, რამაც წინასწარ სასიამოვნო განწყობილება შემიქმნა თქვენზე.**

— მიყვარს ჩემი საქმე, ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი. ერთი სახეობის მტაცებელი ცხოველები ერთმანეთს არ ერჩიან, არ ხოცავენ, გამონაკლისი, სამწუხაროდ, ადამიანია.

**— როგორც ინფექციონისტი, რას ურჩევთ ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველს, რა მოიმოქმედოს, რათა თავიდან აიშოროს ეს საშიში დაავადება?**

— ჩვენ ისეთ გარემოში გვიხდება ცხოვრება, ამ სენისაგან დაზღვეული არავინ ვართ. ჩემი კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა. თუ ძვირადღირებულ წამალს ვერ ვუყიდი, გამოკვლევებში ხელს შევუწყობ, კონსულტაციას ჩავუტარებ, სწორ მიმართულებას მივცემ, ფსიქოთერაპიულ მკურნალობას როგორ დავამადლი. ვიდრე ყველაფერი დალვინდება და დაიწმინდება, ჩვენი მიზეზით არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიღუპოს. ღმერთი დაგვსჯის, ეს ხომ უდიდესი ცოდვაა ექიმისათვის.

**— ახალგაზრდა კოლეგაზე თავის აზრს გვიზიარებს აკადემიკოსი, ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი:**

— ქ-ნი მანანა ჩვენი გაზრდილია, გამოირჩევა საოცარი მიზანსწრაფულობით. სულ რაღაც ოთხ-ხუთ წელიწადში გამოცდილი, კვალიფიციური ექიმი გახდა. მინდა მოვიშველიო ჩვენი დიდი მასწავლებლის ილია ბრაძეს სიტყვები: „გამოცდილება არ არის წელთა სიმრავლე რომელიმე პროფესიაში, ეს არის წელთა სიმრავლე გამრავლებული დაკვირვების აქტივობაზე, თუ ეს უკანასკნელი ნულია, რამდენზეც უნდა გაამრავლოთ, მაინც ნული იქნება". ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილია მანანაზე, რომელიც ბევრთაგან გამორჩეულია დაუოკებელი ინტერესით სიახლისადმი. ნახევრად დანგრეულ განყოფილებაში მაინც აღწევს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალ დონეს. პირადად მე მუდამ უყოყმანოდ ვუგზავნი ავადმყოფს, მჯერა მისი დასმული უტყუარი დიაგნოზისა, რომელშიც არ იქნება არავითარი დეონტოლოგიური ბზარი. ეს ის ექიმია, რომელიც ავადმყოფთან ერთად კვდება და გამომჯობინებულთან ცოცხლდება, ანუ ნამდვილი ექიმი გახლავთ.

**ნანული ბუკია**

World Boys & Girls Art Exhibition



ეროვნული ბიბლიოთეკა



კუბა. 6 წ CUBA. 6 yrs. M.



GEORGIA. TBILISI

საქართველო. თბილისი

20.05 - 03.06 1997

# მსოფლიოს ბიჭებისა და გოგონების ნახატების გამოფენა

იაპონია. 12 წ JAPAN. 12 yrs. F.



საქართველო. 7 წ GEORGIA. 7 yrs. F.



# „ჩვენი სამყაროს მომავალი შენისთანებზეა დამოკიდებული“

„მოზარდთა შინაგანი სამყაროს გაფაქიზება, „სულის ეკოლოგია“ — ეს არის საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება „ლომისას“ პროგრამის ერთ-ერთი მიზანი. და აი, ცოტა ხნის წინათ, „ლომისას“ ხელმძღვანელობამ (მხატვრები მზია ლოლიშვილი და ნანა კიკინაძე) მოაწყო ბავშვთა ნახატების გამოფენა.

ოცწლიანი იძულებითი დახურვის შემდეგ აღდგენილი თბილისის მეაბრეშუმეობის მუზეუმმა ქველმოქმედების მიზნით ნიჭიერ ბავშვთა გამოსავლენად უანგაროდ დაუთმო მათ საექსპოზიციო დარბაზი.

ამჯერად წარმოდგენილია 4 წლის თორნიკე ქორქოლიანის აკვარელით შესრულებული 80-ზე მეტი ნამუშევარი.

პაწია მხატვრის ძირითადი თემა გარემომცველი სამყაროა, ბუნება თავისი მომხიბვლელობით, ხეები, ყვავილები, ცხოველები, ჩიტები, — ეს მის მიერ სათუთად აღქმული და გააზრებული სამყაროა, ბავშვობით სოფელში მიღებული შთაბეჭდილებებიდან ქალაქშიაც გამოყოლილი. თუმცა, გარდა ბუნების პეიზაჟებისა, ცალკე შეიძლება პორტრეტული ჩანახატების გამოყოფაც.

ხატვა თორნიკეს ყოველდღიური მოთხოვნილებაა. ხატავს სწრაფად, ერთი ხელის მოსმით ქმნის გამოსახულებას. ხატვის პროცესში, თურმე, საკუთარ თავს ესაუბრება — არა ეს ფერი სჯობია. არა ესო... ფერები კი, მართლაც, სინატიფით აქვს შერჩეული.

ძალიან უყვარს პატარა შემოქმედს პოეზია, რაზედაც მეტყველებენ მისივე ნახატები: „ქარი ქრის“, „კრწანისის ყაყაჩოები“, „ნეტავი რამე მაქცია, ბულბულად გადამაქცია“ და სხვა.

ბავშვის „განსწავლაში“ დიდი წვლილი მიუძღვის ბებიას — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ელენე მაჭავარიანს, რომელიც ძველი ხელნაწერი წიგნების მოხატულობაზე მუშაობს. ამას გარდა, იგი ხშირად ქარგავს კიდეც. თორნიკეს, თურმე, ძალიან უყვარს ამ სურათებისა და ფერადი ძაფების დათვალიერება. როგორც ჩანს, ყოველივე ამის შედეგად, თვალისა და გონების შემწეობით შეიქმნა ნახატები რელიგიურ თემაზე: „ეკლესია“, რომელიც მცხეთის ჯვარს წააგავს (როგორც თვით ბავშვი უწოდებს ამ ნახატს — „ღმერთის სახლი“), „ქრისტეს ჯვარი“, „სამყაროს შექმნა“ მისივე დასათაურებით, „ღმერთმა სთქვა. სამყარო უნდა შევქმნაო“.

იმ ადგილს, რომელიც მის ცნობიერებაში დასახატი გარემოა, თორნიკე აუცილებლად შემოფარგლავს წრით. „სამყაროს შემქმნელიც“ წრეში გამოხატა; „დედამიწაზე ხომ ყველაფერი წრითაა შემოსაზღვრული“ — აღნიშნეს პროფესიონალმა მხატვრებმა გამოფენის გახსნისას, — მის ნახატებში არაფერია შემთხვევითი.

შთაბეჭდილებათა წიგნიდან: „პატარა თორნიკე ბუნებით დაჯილდოებული მხატვარია. მოჯადოებული ვარ შემდეგი ნამუშევრებით: „ქარი ქრის, ქარი ქრის..“ „მასხარა“, „გედი“, „ფრინველი“, „სამყაროს შექმნა“. ჩემს მიერ ჩამოთვლილი ნამუშევრები ნამდვილად შედევრებია ოთხი წლის ასაკისათვის, ღრმად გააზრებული, ქვეცნობიერების მექანიზმების ჩართვით. არავითარი შემთხვევითობა. მაყურებელს იტაცებს ფილოსოფიური აზროვნება. აყვანილი ლოგიკურ აბსტრაქციაში და პიროვნებაში. თორნიკეს უდიდესი მომავალი აქვს. ღმერთმა მისცეს მას გამარჯვება“. (ალექსანდრე ჩხეიძე).

„ჩემო თორნიკე, იცოცხლე და იდღეგრძელე, იხარე და გვახარე შენი შემოქმედებით. შენი ქართული კოლორიტით, შენი სითბოთი და პლასტიკით“ (ლეილა ქავთარაძე).

დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი ხვდა წილად „სამყაროს შექმნას“. თორნიკეს ეს ნამუშევარი წარმოდგენილი იყო თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გამართულ ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენაზე. შევარდნაძის ფონდმა ფილმის გადაღებაც გადაწყვიტა ამ ბავშვზე, მაგრამ თორნიკეს ფირზე აღბეჭვდა, ალბათ, გაძნელდება, რადგან მუზეუმში გამართულ გამოფენაზე პატარა მხატვარმა უარი თქვა ფოტოგადაღებაზეც კი... (თავმდაბლობა ხომ ნიჭიერთა თვისებაა). ფანჯრისკენ ზურგშებრუნებული პაწია ხელოვანი დაფიქრებული იდგა და ვერ ხვდებოდა, რა უნდოდა ამ ხალხს მისგან, ან მისი ნახატები რატომ იყო ამ კედლებზე...

თორნიკეს „სამყაროს შექმნა“ უკვე მოგზაურობს 160 ქვეყნის ბავშვების ნახატებთან ერთად მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში მსოფლიოს გარშემო...

გთავაზობთ საერთაშორისო გამოფენაზე ქალბატონ ნანული შევარდნაძის შეფასებას: „პატარა თორნიკე! გილოცავ დიდ წარმატებას. შენისთანებზეა ჩვენი სამყაროს მომავალი დამოკიდებული. ძალიან კარგია შენი „სამყარო“. ყოჩაღ, ბიჭო!“

ნანუ ბები. 20 V 1997 წ.

დალი ოსეფაშვილი

# შუშანა მგელაძე — 80

ვულოცავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს გზები

ბილიკები, ბილიკები,
საქართველოს გზები,
ხან ჩანჩქერი გამიტაცებს,
ხან ყანა და ზვრები.

ამ გზებიდან კარგად მესმის
ჟრიამული სოფლის,
გადაშლილი მიწის სუნთქვა
შრომითა და ოფლით.

ამ გზებიდან ვნახე გრემი
და არწივის ბუდე,
მტკვრის ტალღებში ჭადარები
კვლავ იქნევენ ქუდებს.

ამ ბილიკებს მოვყვებოდი,
ვნახე დილა ისნის,
თბილისური შემოდგომის
მაჯისცემა ისმის.

აქ მეტეხთან მხედარი დგას,
სადაც კლდეა სალი,
ნარიყალას ციხეს გასცქერს
ვახტანგ გორგასალი.

მოვდივარ და გზას აჩნია
საჭაწვლო კვალი,
ამ ადგილას მტერს კაფავდა
სააკაძის ხმალი.

მინდა სივრცეს გადავხედო,
მინდა ვიშვა ახლად,
მინდა პეპლებს გავეკიდო,
გადავიქცე ბალღად.

ეს სურვილი არ ახდება,
სჯობს დავკეცო ფრთები,
ჩამძახიან, ხარხარებენ
იდუმალი ხმები.

ამ ზარზარის ექო ვიგრძენ,
გაჩნდა ბზარი გულში,
დაე მოვკვდე მამულის და
ხალხის სიყვარულში.

## დედას

წარწერა წიგნზე — „გახსოვდეს და გიყვარდეს დედიკო". საფო, 1936 წ.

მუდამ მიყვარხარ, მუდამ მახსოვხარ,
მუდამ ჩემთან ხარ, დედა.
შენს მღელვარე გულის იარებს
შენს ნაწერებში ვხედავ.

შენი წამების დაბურულ ბილიკს
მუდამ გავცქერი მე და,
შენი მებრძოლი სულის ძახილი
ახლაც კი მესმის, დედა.

ხან მეჩვენები ბობოქარ ტალღად,
ხან კი მომაკვდავ გედად,
ხან ღრუბლებიდან თითქოს დამყურებ
თეთრ ანგელოზად დედა.

დავდივარ ბრბოში, შევცქერ სახეებს,
შენს მსგავს ვერავის ვხედავ,
ხან კამელიის ყვავილს გადარებ,
ხან მაგნოლიას, დედა.

სამოთხის ბაღში ყვავილებს კრეფ და
ახალგაზრდა ხარ, დედა,
წამების გზები დამთავრებულა,
სიზმარში ასე გხედავ.

## კელასური

კელასურში ახლა ვარდი ჰყვავის,
მოაჯირზე ჩამომჯდარა ყვავი.

——

ბულბულები გააძევა მტერმა
და დაჰფარა სანაპირო მტვერმა.

——

კელასურში, ფორთოხლების ბაღში
აღარ ბუდობს არც მტრედი, არც შაშვი.

——

სარდაფებში იმალება ხალხი,
სათამაშოდ ვერ გამოდის ბალღი.

——

ომის ღმერთო! მოგვეც ქალებს ძალა,
რომ გადვიქცეთ მებრძოლ ამორძალად.

——

ალსდექ, გმირო, მოძალადის ჯიბრზე,
რომ არ იჯდეს ყვავი მოაჯირზე.

## ჩემს ქალიშვილს ზოტოს

ბედმა ტანჯვა მარგუნა,
ვცხოვრობ ოხვრით, გოდებით,
მუდამ შენს გზას გავცქერი,
მუდამ შენ გელოდები.
დაგინახავ — მოდიხარ,
გულს შორდება ლოდები.

ცისფერ თვალთა კიაფით
მოგაქვს სითბო, იმედი,
მე ხომ ისევ ბავშვი ვარ,
თუმც ოთხმოცთან მივედი.

მუდამ ვთესავ სიკეთეს,
სიმართლის გზას მივყვები,
სასაცილოდ მიგდებენ
უვიცნი და ბრიყვები.

შენ ერთს გესმის ჩემი და
მოხვალ, მეალერსები,
გიყვარს შენი დედიკო,
გიყვარს მისი ლექსები.

## დამელოდე

მეუღლის ხსოვნას

სად წასულხარ, ეფარები წყვდიადს,
რად ვერ გიხსნა სიყვარულმა დიდმა,
გამარჯვების ბილიკებზე გსდია,
შენ სიკვდილმა მუხთალმა და ფლიდმა.

——

სიზმრად ხშირად ჩემთან იმყოფები,
ილიმები და შორს დგახარ მუდამ,
კვლავ ბრწყინავენ შენი შავი თმები
და მთხოვ, შვილებს, გაუფრთხილდე უნდა.

——

შენ საფლავთან სიჩუმეა სრული,
ყვავილები შრიალებენ ნაზად,
გრთვალთვალებს თითქოს ავი სული,
ვინაც შენი გული გადარაზა.

——

ეჰ, სიკვდილმა სად დაგვრია ხელი,
სად მივყვებით ამ ტალღების სრბოლას,
წასულია დრო უტყვი და მთქმელი,
სიცოცხლესთან დაამთავრე ბრძოლა.

——

შენი ხსოვნა ვიცი რას მავალებს
და ვაგორებ ამ გულიდან ლოდებს,
გაზაფხული ამკობს შენს სავანეს,
უსათუოდ მოვალ, დამელოდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონკურსი ტრადიციული გახდება და მას „თბილისის საერთაშორისო" დაერქმევა

**წლევანდელივით თბილი და მზიანი შემოდგომა კარგა ხანია არ ახსოვს თბილისს, არც ასე უხვი და მრავლისმეტყველი თეატრალური შეხვედრები და მუსიკალური საღამოები. ერთდროულად ორი დიდი ზეიმი ეწვია ჩვენს ქალაქს — მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი" და პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსი. ჩვენ, სწორედ ამ უკანასკნელზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება და ამიტომ, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეს, ცნობილ ქართველ მუსიკოსს ქ-ნ მანანა დოიჯაშვილს.**

**— ქალბატონო მანანა, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი უბრალო მოვლენა როდია ჩვენს ცხოვრებაში. როგორი იყო მისი მოწყობის წინაპირობები და, საერთოდ, როგორ დაიბადა იდეა?**

— კონკურსის პატარა ტრადიცია, ასე ვთქვათ, ჩვენ უკვე გვქონდა, რადგან ორი წლის წინ პიანისტთა რესპუბლიკური კონკურსი გავმართეთ. უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, — ჩვენმა ახალგაზრდებმა ისეთი კარგი მომზადება და მაღალი დონე გვიჩვენეს, რომ მაშინვე დაგვებადა იდეა, მოგვეწყო საერთაშორისო კონკურსი, რომელიც მრავალ უცხოელ მუსიკოსსა და ახალგაზრდას მოიზიდავდა ჩვენთან და ქართველ პიანისტებსაც გააცნობდა მუსიკალურ სამყაროს. თანაც გვსურდა, რომ იგი ისეთივე ტრადიციული და მაღალი დონის ყოფილიყო, როგორც, ვთქვათ, თავის დროზე მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობისა. იდეა თავისთავად კარგია, მაგრამ მოგეხსენებათ, ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. მონაწილეებსა და ჟიურის წევრებს მიღება სჭირდებოდათ, მასპინძლობა, პირობების შექმნა, ბოლოს და ბოლოს პრიზები. ამიტომაც, თხოვნით მივმართეთ ბატონ პრეზიდენტს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და დახმარებას შეგვპირდა. გვერდით ამოგვიდგნენ ჩვენი პატივცემული სპონსორებიც — სოროსის ფონდის საქართველოს განყოფილება, სააქციო საზოგადოება „ქართუ", გამოფენების ცენტრი, „სამება", რომელთაც საკუთარ მხრებზე გადაიტანეს ყველა ფინანსური სირთულე. რომ იტყვიან, ცდა არავის დაუკლია და, მართლაც შესანიშნავი შედეგი მივიღეთ.

**— მართალია, კონკურსს საერთაშორისო პრეტენზია ჰქონდა და ჩვენთანაც აღნიშნავდნენ მის მაღალ დონეს, მაგრამ, საინტერესოა, როგორი რეზონანსი, გამოხმაურება ჰქონდა მას საზღვარგარეთ?**

— ძალიან კარგი. თითქმის ყველამ აღიარა მისი საუცხოო ხარისხი, პიანისტთა მაღალი კლასი, თავად მაყურებელთა შესანიშნავი მომზადება და გემოვნება. და ეს არცაა გასაკვირი — ჩვენ ხომ განებივრებულნი ვართ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი პიანისტებით, როგორებიც არიან ელისო ვირსალაძე, ელისო ბოლქვაძე, ეთერ ანჯაფარიძე, მზია სიმონიშვილი, ლექსო თორაძე, ალექსანდრე კორსანტია და სხვა მრავალი.

**— ქ-ნო მანანა, ამბობენ, რომ საოცრად კომპეტენტური ჟიური განაგებდა კონკურსს. თქვენ, როგორც თავმჯდომარე, რას გვეტყვით მის შესახებ?**

— ჟიური, მართლაც ისეთი გვყავდა, ბევრ დიდ კონკურსს რომ შეშურდებოდა და ეს ქალბატონ ელისო ვირსალაძის უდიდეს დამსახურებად მიგვაჩნია, რადგან ყველაფერი პირად კონტაქტებზეა დამყარებული. ეს სახელები მუსიკალურ სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. ელისო ვირსალაძე და ეთერ ანჯაფარიძე (საქართველო), ნატალია ცინცაძე (უზბეკეთი), არივარძი (ისრაელი), მალკოვიჩი (აშშ), ფრანც მასინგერი (გერმანია), ჰემიშ მილნი (ინგლისი), ვოსკრესენსკი (რუსეთი), ჰანს ფაძარი (იტალია), ფარჰად ბადბეილი (აზერბაიჯანი), სვეტლანა ნავასარდიანი (სომხეთი).

**— როგორ მოხდა კონკურსის მონაწილეთა შერჩევა და როგორ წარიმართა იგი?**

— საერთოდ, ყველა კონკურსს თავისი პირობები აქვს. ჩვენ მონაწილეობის მსურველთაგან კასეტები მოვითხოვეთ ნახევარსაათიანი პროგრამის ჩანაწერებით. თავიდან 95 განცხადება მივიღეთ 17 ქვეყნიდან. შერჩევის შემდეგ 16 ქვეყნის 47 მსურველი დაიშვა, საბოლოოდ კი — 12 ქვეყნის 38 მონაწილე გვეწვია. აქედან 12 ქართველი იყო და თითქმის ყველაზე დიდ იმედებს ვამყარებდით, განსაკუთრებით — ნატო წვერელსა და ქეთევან ბადრიძეზე, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, ფინალში ვერ მოხვდნენ. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ ექვსი ფინალისტიდან სამი ქართველი იყო და ეს გასაოცარ მიღწევად ითვლება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ყოველივე მასპინძლობის გამო მოხდა, მწარედ ცდება, დიდად ავტორიტეტულმა ჟიურიმ თავისი კომპეტენტური აზრი ყოველგვარი ზეწოლის გარეშე გამოიტანა და ამაზე ყურადღების გამახვილება უხერხულადაც კი მიმაჩნია.

კონკურსს თავისი სავალდებულო პროგრამა ჰქონდა და იგი ოთხ ტურად ჩატარდა. პირველ ტურში ბახის პრელუდია და ფუგა, სკარლატის ორი სონატა და შოპენის ერთი ეტიუდი უნდა შესრულებულიყო, მეორე ტურში — რევაზ ლაღიძის „რონ დო-ტოკატა".

კონკურსის შედეგებზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მე მაინც მსურს, მის ფინალისტებზე გავამახვილო ყურადღება: გრან-პრი უზბეკმა ჭაბუკმა ულუგბეკ პალვანოვმა დაიმსახურა და, ნამდვილად, ღირსეულად. იგი ძალიან ნიჭიერი და ფენომენალური ტექნიკის მქონე პიანისტია, მომავალი დიდი ვარსკვლავი და ვირტუოზი, მე არ მეშინია ამ სიტყვებისა. მეორე ადგილი ასევე უდავოდ ნიჭიერ მარინე ნადირაძეს (პედ. პროფ. გ. ამირეჯიბი) ხვდა წილად, მესამე — ვალერიან შიუკაშვილს (პედ. პროფ. ნ. გაბუნია), მეოთხე ადგილზე კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 16 წლის დარია რაბოტკინა გავიდა ყაზანიდან, მეხუთე საპატიო ადგილი — კვლავ თბილისელმა ნინო გურევიჩმა (პედ. პროფ. ედ. რუსიშვილი) დაისაკუთრა, მეექვსე — იაპონელმა რიუ მიატამ. აი, ასეთი

გახლდათ ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილება და, გარწმუნებთ, რომ არავითარ გულისწყვეტას ან აზრთა სხვადასხვაობას ადგილი არ ჰქონია.

**— ქ-ნო მანანა, საინტერესოა, როგორი იყო საპრიზო ფონდი და როგორ განაწილდა იგი?**

— გრან-პრი — ათი ათასი დოლარი, პრეზიდენტის მიერ დაწესებული ხუთი ათასი დოლარი და ვერცხლის გვირგვინი გახლდათ. დანარჩენ ადგილებზე გასულებმა, შესაბამისად ხუთი, სამი, ორი ათასი დოლარი და ა. შ. მიიღეს, როგორც ხედავთ, საკმაოდ სოლიდური თანხაა და კვლავ დიდი მადლობა ჩვენს სპონსორებს.

**— როგორია მომავლის გეგმები და რას გვპირდებით, მსგავსი კონკურსი კვლავ მოეწყობა თუ იგი მხოლოდ ერთი მშვენიერი გაელვება იყო ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებაში?**

— მომავალზე საუბარი არ მიყვარს. რაც შეეხება კონკურსს, იგი ტრადიციული იქნება, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება და ასეც დამკვიდრდება მუსიკალურ სამყაროში — თბილისის საერთაშორისო. მზადებას უკვე დღეიდან ვიწყებთ, რადგან კონკურსის დამთავრებისთანავე სალარო ცარიელი დაგვრჩა, სიცარიელეს კი, მოგეხსენებათ, შევსება სჭირდება.

ესაუბრა
**მანანა იმესაშვილი**



მანანა დოიჯაშვილი და პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი



მარინე ნადირაძე — მეორე ადგილი



გრან პრის მფლობელი უზბეკი ულუგბეკ პალვანოვი

# იცით თუ არა, რომ...

## ქალები მამაკაცებზე უკეთესი ხელმძღვანელები არიან

ამერიკელმა ექსპერტებმა ვაშინგტონის „მომავალი ხელმძღვანელი კადრების ორგანიზაციიდან“ ჩაატარეს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირთა უშუალო ხელმძღვანელობით მომუშავე 6403 მოსამსახურის დაწვრილებითი გამოკითხვა, რათა გაერკვიათ — ვინ უკეთ ასრულებდა ხელმძღვანელის ფუნქციას, ქალი თუ მამაკაცი.

მასშტაბური სოციოლოგიური კვლევის შედეგები არასახარბიელო გამოდგა ხელმძღვანელი მამაკაცებისათვის. ისინი მხოლოდ ორი უპირატესობით გამოირჩეოდნენ: უფრო ადვილად ძლევდნენ სტრესებს და დაბნეულობის მომენტში ნაკლებად ჯიუტობდნენ.

გაცილებით შთამბეჭდავია ხელმძღვანელ ქალთა უპირატესობა:

ისინი პუნქტუალურად იცავენ ვადებს და ზედმიწევნით ასრულებენ მოვალეობებს პარტნიორთა წინაშე.

იშვიათად უარყოფენ თავიანთ ნაკლოვანებებს და, როგორც წესი, ტაქტიანად ურთიერთობენ.

უფრო ხშირად უნდობენ [illegible] იდეებს და არ მიდიან გაკვალული გზით.

უფრო გაბედულად შეაქვთ თავიანთ მოღვაწეობის სფეროში ახალი ტენდენციები.

უფრო სწრაფად ამუშავებენ, აწონ-დაწონიან და გადასცემენ ინფორმაციას.

ობიექტურად აფასებენ თავიანთ ქვეშევრდომთა უნარს და უმეტესწილად იზიარებენ მათ შეხედულებებს.

ხშირად კითხულობენ რჩევას და იშვიათად წყვეტენ საკითხს ერთპიროვნულად.

არიან დემოკრატები: ძალიან ცოტა მამაკაცი თუ იცავს ხელმძღვანელობის იერარქიას.

„არგუმენტი ი ფაქტი“.



ქალი მის ცხოვრებაში

# მეტეხი გადარჩა, ვერ გადარჩა კატი...

ამ საუკუნის 10–30-იან წლებში საქართველოს სამხატვრო ცხოვრებაში არ ყოფილა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მოთავე ან მონაწილე დიმიტრი შევარდნაძე — გამოჩენილი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე, არ ყოფილიყო. მრავალი სხვა გამორჩეული ქართველის დარად ისიც 37 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა.

1914 წელს მიუნხენის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა თავდაპირველად ქართველ ხელოვანთა საზოგადოება დააარსა, შემდეგ — ეროვნული გალერეა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; მოაწყო ექსპედიციები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ეროვნულ სიძველეთა მოსაძიებლად და შესასწავლად. გამოფენების ორგანიზება, თბილისის უნივერსიტეტის გერბის შექმნა, წიგნის ილუსტრაციის, სპექტაკლების, კინოფილმების მხატვრული გაფორმების დარგში მუშაობა... სამწუხაროდ, იმდროინდელმა ხელისუფლებამ იმას მიაღწია, რომ მისი, როგორც „ხალხის მტრის“ სახელი თითქმის მთლიანად ამოიძირკვა ფართო საზოგადოების მეხსიერებიდან (არადა, როგორი თავდადებული იყო ხალხისათვის, სამშობლოსათვის!). მის მიერ განხორციელებული საქმეები კი გვავალებენ თაობიდან თაობას გადავცეთ ამ ბრწყინვალე მამულიშვილის სახელი.

დიმიტრი შევარდნაძის არცთუ ხანგრძლივი (1885–1937) სიცოცხლის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მხატვარ ქეთევან მაღალაშვილისადმი გაგზავნილი მისი წერილები, რომლებიც სათუთად შეინახა მხატვარმა ქალმა, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, რომ ადრე თუ გვიან, ამ წერილებს მიაკვლევდნენ და მაშინ არც მათ ადრესატს ელოდა კარგი დღე.

თხუთმეტ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა დიმიტრი შევარდნაძისა და ქეთევან მაღალაშვილის მეგობრობა, შეიძლება მას თავისუფლად დავარქვათ რომანტიკული ურთიერთობები. როგორც თვით ქეთო მაღალაშვილი იგონებდა, იგი დიტო შევარდნაძეს პირველად 1919 წელს შეხვდა და იმდროიდან მუდამ „მისი ზრუნვით და მეგობრული სითბოთი იყო გამთბარი“. 30-იანი წლების რეპრესიებმა დიტო შევარდნაძესთან ერთად ბოლო მოუღო ამ ორი გამორჩეული ნიჭის ადამიანის რომანტიკულ, ამაღლებულ მეგობრობას.

ქეთო მაღალაშვილისადმი მიწერილი წერილებიდან უადრესი 1920 წლითაა დათარიღებული. ჯერ მხოლოდ ერთი წლის ნაცნობობა აქვთ. წერილის ავტორი თქვენობით მიმართავს ადრესატს. დიმიტრი შევარდნაძე ამ დროს 35 წლისაა, ქეთევან მაღალაშვილი მხოლოდ 26-ის. ამ წერილში, როგორც მომდევნოებში, ჩანს, უპირველეს ყოვლისა, სურვილი, გაუზიაროს ახლობელ ადამიანს თავისი ფიქრები და სამომავლო გეგმები, ამავე დროს, ფრთხილად, შეფარვით გამოსჭვივის მისი მონატრების სევდა.

ჩვენამდე მოღწეული ამ პირველი წერილიდან ვიგებთ, რომ ქეთევან მაღალაშვილიც სხვა ხელოვანთა მსგავსად შეჭირვებით ცხოვრობს. „მე მინდა მოგაშველოთ 5.000 მანეთი (ეს ცოტაა, ბევრი არ არის — ი. ლ.). თუ ნებას მომცემთ, გამოვაგზავნი ფოსტით“, — სწერს თბილისიდან ოჯახთან ერთად თიანეთში დასასვენებლად წასულ ქეთევან მაღალაშვილს. „თქვენ ეცადეთ თქვენი ჯანმრთელობისათვის, დანარჩენი კი ჩემი საქმე იყოს, ისე მოგაწყობთ სამუშაოდ, რომ არაფერი გაგიჭირდეთ“. ამავე წერილში დიმიტრი შევარდნაძე ატყობინებს ქეთევან მაღალაშვილს, რომ საჩუქრად უძღვნის ზეთის „ფერადებს“ (საღებავებს), უძღვნის იმდენს, რომ დიდხანს ეყოს სამუშაოდ“. „...ჩემი ატელიეც თქვენს განკარგულებაში იქნება...“ — წერს იგი. უფრო მეტი, როცა დიმიტრი შევარდნაძე ეროვნული გალერეის გახსნის შემდეგ, იქაურ სარდაფში გადადის საცხოვრებლად, რადგან არც დღისით, არც ღამით არ უნდა უყურადღებოდ დატოვოს ეს თავისი ახდენილი ოცნების საგანი — გალერეა, საკუთარ ატელიეს იგი ქეთევან მაღალაშვილს უტოვებს გუნიბის (დღევანდელი ბარნოვის) 23-ში, ქეთევან მაღალაშვილი მრავალი წლის განმავლობაში იქ ცხოვრობდა.

როგორც წერილიდან ჩანს, დიმიტრი შევარდნაძეს დიდად აკლდა ახალგაზრდა მეგობრის (მეტი რომ არ ვთქვათ) საზოგადოება. „...რა მოგწეროთ, საქმეები ბევრი მქონდა ამ ზაფხულში, მაგრამ ამის შესახებ წერა თქვენთვის მოსაწყენი იქნებოდა, სხვა კი საინტერესო არაფერი იყო“.

საინტერესო კი მართლაც ბევრი იყო. ამ წერილიდან ჩანს — დიმიტრი შევარდნაძე ამზადებს ქართველ მხატვართა ნამუშევრების პირველ დიდ გამოფენას, ბევრს მოგზაურობს, ეცნობა სურათების კოლექციების მეპატრონეებს, აწარმოებს მათთან მოლაპარაკებას...

წერილებით დიმიტრი შევარდნაძის ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი ხდება ცხადი. წერილში სხვა ამბებთან ერთად იგი წერს, რომ მიდის ილია ზდანევიჩთან (ძლივს შეუტყვია მისი მისამართი) და იმედი აქვს მოახერხებს მისგან სურათების შეძენას.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგის ქალბატონ ირინა მუცოვას (იგი ძმები ზდანევიჩების შემკვიდრეობის შესწავლაზე მუშაობს) დახმარებით, ჩვენ გავეცანით მასალებს ამ შეხვედრის შესახებ. დიმიტრი შევარდნაძეს სურდა, სა-

ქართველთა ეროვნული გალერეისათვის შეეძინა ზდანევიჩისეული კოლექცია ფიროსმანაშვილის სურათებისა, შესთავაზა ილიას კოლექციის გაყიდვა, დაუსახელა ის თანხა, რაც საქართველოს მთავრობას შეეძლო ამ კოლექციაში გადაეხადა და იქვე დასძინა — ვიცი, რომ ეს თანხა მეტად მცირეა ამ კოლექციის საფასურად, მაგრამ კოლექციის დაკარგვა საქართველოსათვის აუნაზღაურებელი იქნებაო. ილია ზდანევიჩი დასჯერდა ამ თანხას, რადგან თვითონ მხატვარმა კარგად იცოდა, რომ ფიროსმანაშვილისნაირ მხატვრის ქმნილებათა უმთავრესი კოლექცია მის სამშობლოში უნდა ინახებოდეს.

„ქეთო ჩემო"... — ლაკონურად, ძუნწად იწყება წერილი, მაგრამ რამდენი სითბოა ჩაღვრილი ასეთ მიმართვაში. ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1930 წლის 25 ნოემბრითაა დათარიღებული, დიმიტრი შევარდნაძე წერს, რა „დიდის ზეიმით" გაიხსნა 23-ში მოსკოვში ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა. გამოფენის გახსნის მეორე დღეს მოსულა გერმანიის ელჩი თავისი ცოლისა და მდივნის თანხლებით. საათნახევარი დარჩენილა გამოფენაზე, იმდენად მოსწონებია სურათები და უთქვამს, ევროპაში ძალიან მოიწონებენ და წინასწარ გილოცავთ გამარჯვებასო (ნავარაუდევი იყო ამ გამოფენის გერმანიაში წაღება).

ყველა წერილში ჩანს დიდი ინტერესი, თუ რა ხდება მის მიერ თუნდაც ცოტა ხნით დატოვებულ თბილისში. დაწვრილებით აღწერს, აგრეთვე, როგორ გაიხსნა ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა ლენინგრადში და დასძენს: „მოსკოვში გამოფენის გახსნის დღე უფრო ოფიციალური იყო. აქ კი შედარებით უფრო თბილი და ინტიმური ხასიათი ჰქონდა".

წერილებიდან ჩანს, როგორ უყვარდა დიმიტრი შევარდნაძეს ქალბატონი ქეთოს მთელი გარემოცვა, განსაკუთრებით კი მისი ძმისშვილები ქეთო და თინა, რომელთა ნათლიაც იყო.

სამწუხაროა, რომ არ შემორჩა ქეთევან მაღალაშვილის წერილები დიმიტრი შევარდნაძისადმი, მაგრამ, საბედნიეროდ, მაღალაშვილის არქივში დაცულია ჩვენების ტექსტი (ასლი ამ ჩვენების ტექსტისა სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში ინახება). რომელიც მან 1956 წელს დიმიტრი შევარდნაძის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მისცა საქართველოს სუკ-ში. ამ ვრცელი ჩვენებიდან განსაკუთრებით საინტერესოა და მნიშვნელოვანი ბერიას მიერ ჩაფიქრებული მეტეხის ტაძრის დანგრევის ამბავი, რომელსაც, ფაქტიურად, შეეწირა დიმიტრი შევარდნაძე.



სიღნაღი ხედი

ეს ამბავი ქეთევან მაღალაშვილმა თვითონ დიმიტრი შევარდნაძისაგან იცოდა. როდესაც მეტეხის პლატოზე, სადაც სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი მდებარეობდა მაშინ, გამოცხადდა ჯგუფი ბერიას დავალებით მეტეხის ტაძრის დასანგრევად, შევარდნაძე მათ წინ აღუდგა. არ მისცა დანგრევის უფლება და მალე თავად, ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ბერიასთან მივიდა თხოვნით, რომ არ დანგრეულიყო მეტეხის ტაძარი. ბერიამ გადახედა მოსულებს (ესენი იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, სანდრო ახმეტელი...), მოუსმინა მათ, გაუშვა ყველა, დატოვა დიმიტრი შევარდნაძე და უსაყვედურა ამ მაღალი პირების მოყვანისათვის, თანაც დასძინა, რომ მეტეხი დაინგრევა, მაგრამ უკვე თქვენი თხოვნითო. მოხდა ისე, რომ მეტეხი გადარჩა, მაგრამ ვერ გადარჩა კაცი, რომელმაც ბერიას შეპასუხება გაუბედა.

ერთ-ერთი ბოლო წერილი 1936 წლის 3 დეკემბრით არის დათარიღებული. იღრუბლება ცა მის თავზე, ახლოა საბედისწერო აღსასრულიც, და, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ამას ყველაფერს დიმიტრი შევარდნაძე ხედება. იგი ცდილობს აცილოს ძვირფას ადამიანს მძიმე განცდები და სწერს საქმეზე, მხოლოდ საქმეზე. ქეთევან მაღალაშვილზე ზრუნვამ ათქმევინა ალბათ დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე: „მე მართალი ვარ და არაფრის მეშინიაო". განა არ იცოდა, რომ მაშინ ადამიანს სიმართლე ვერ დაიცავდა, მაგრამ ვაჟკაცსა და გაუტეხელ კაცს არ შეეძლო სხვა რამ ეთქვა ძვირფასი ადამიანისათვის.

**ინგა ლორთქიფანიძე,**
**ნანა ყანჩაველი.**



ალ. წუწუნავა, ქ. მაღალაშვილი და დ. შევარდნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გავთხოვდეთ უცხოეთში?

„როგორ გავთხოვდეთ უცხოეთში?“ — ასეთი სათაური წავიკითხე ერთ პრესტიჟულ გაზეთში.

შევცბი. რატომაო? მკითხავს მავანი.

იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ დაცარიელდა საქართველო, იმდენი ქართველი წავიდა ამ ბოლო დროს უცხოეთში. ახლა კიდევ ქართველი ასულები გავათხოვოთ უცხოეთში ხელაღებით, მოვშალოთ ქართული გენი და სხვა დიდ ერს მივეხმაროთ გამრავლებაში? აი, ასეთი ფიქრები ამეშალა წერილის კითხვისას.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, წერილი ნათარგმნი აღმოჩნდა. მასში საუბარი იყო რუსეთში მოქმედ ბიუროებზე, რომლებიც ასე „გულუხვად“ ეხმარებიან რუს გოგონებს უცხოელებზე გათხოვებაში.

ღმერთმა ხელი მოუმართოს. ჩვენს ქალიშვილებს კი არამცდაარამც არ გადასხმოდეთ მათი „წყალი“.

რატომო? შემეკითხება ისევ მავანი. არ გათხოვილა ქართველი ასული უცხოეთშიო?

როგორ არა, ჩემო მკითხველო, გათხოვილან და მერე როგორი ასულები... მაგრამ მოდით, ერთად გადავიხედოთ წარსულში.

ბაგრატ მეოთხის უმშვენიერესი ასული გავიხსენოთ, ბიზანტიის იმპერიის დედოფალი მარიამი (მართა).

სწორედ მეფის ასულის თვალისმომჭრელი გარეგნობის, მისი დიდებული ოჯახიშვილობისა და სათნოების მადლი იყო ის, რომ უძლიერესი იმპერიის პატრონმა, კეისარმა კონსტანტინე მეათე დუკამ ქართველ მეფეს ასული თხოვა რძლად...

ბედისწერამ ქართველი მეფის ასული მსოფლიო იმპერიის დედოფლად აქცია... ეს ქორწინება ძალიან ჭირდებოდა ერს და ქვეყანას. ის კი არა, აუცილებელიც იყო საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობისა და მოყვრობის ჩამოსაგდებად.

ერთი კი ცხადია, რომ დღესაც თვალს გჭრის საუკუნეების მიღმა მბრწყინავი მსოფლიო იმპერიის დედოფლისა და ქართველი მეფის ასულის სახელი. ბევრი საქებარი სიტყვა თქმულა მარიამ დედოფლის შესახებ, მის სულიერ და ფიზიკურ სილამაზეზე. მოვუსმინოთ მის თანამედროვეს, სასახლის სეფექალს ანა კომნენეს: „მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი, როგორც თოვლი, პირისახე ჰქონდა არც თუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქვნილი. ახლა თვალების ბრწყინვალებას აღარ იკითხავ? ვის შეუძლია ამის აღწერა? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები — ცისფერი. მხატვრის ხელი ხშირად გადმოგვცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფეროვნებას, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო; მაგრამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სათნოება — ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხელოვნებას, არც აპელესს, არც ფიდიას, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუბადებია მარიამის მსგავსი რამ ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქვებად აქცევდა ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მას შეხედავდა, ხოლო ვინც შემთხვევით მარიამ დედოფალს დაინახავდა, საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, და ის გაქვავებულივით რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდებოდა დედოფალს, — თითქოს მის მნახველს სულიც წართმეოდეს და გონებაც. ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არასოდეს არავის უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ატყვევებდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით ჰიმეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე“. (რა დასანანია, რომ ეს სილამაზე საქართველოს აღარ ეკუთვნოდა).

უცხოეთში გათხოვილი კიდევ მეორე მეფის ასული მოვიგონოთ. დემეტრე პირველის ასული რუსუდან ბაგრატიონი, თამარ მეფის მამიდა, საქართველოს ძნელბედობის ჟამს ხვარაზმის სულთანს რომ მიათხოვეს. უთუოდ ეს ქორწინებაც პოლიტიკური მოსაზრებით მოხდა... თუ ასე არ იყო, მაშ გარდა საქართველოს და საკუთარი ერის სიყვარულისა, რა აიძულებდა ხვარაზმის დედოფალყოფილს, ნაადრევად დაქვრივების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულიყო და სამშობლოს საკეთილდღეოდ ემოღვაწა.

— ჩვენი თანამედროვე ქალიშვილებიდან აღარავინ გათხოვილა უცხოეთშიო? იკითხავთ.

— როგორ არა!

სიყვარული მოვიდა და გული აღარ დაეკითხა გონებას. მას უყვარს, ძალიან უყვარს ქართველ ქალიშვილს უცხოელი ვაჟი. მისთვის აღარ არსებობს დაბრკოლება, საზღვარი, სიშორე. იქ უნდა ყოფნა, სადაც მისი გულისსწორია. თავისი რჩეულის სამშობლო მისი სამშობლოცაა. ჰოდა, წაიყვანა ქართველი ასული ბედმა უცხოეთში, შეიყვარა უცხო ქვეყანა, მეუღლეს კი საქართველო შეაყვარა, თავისი საქმიანობით, შემოქმედებით ცდილობს ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ერი და ქვეყანა დააახლოოს ერთმანეთთან,

ვერაფერს იტყვი, რადგან სიყვარული ყოვლისშემძლეა,

მაგრამ ჩვენ სხვა რამის თქმა გვინდა. დღეს ბევრი ქართველი ქალიშვილი თხოვდება უცხოეთში კარგი ცხოვრების სურვილით. დიახ, ჭირს დღეს ჩვენში ცხოვრება და ბევრი ახალგაზრდისათვის მაცდუნებელია უცხოეთი... ხშირად ასეთ ქორწინებაში არაფერ შუაშია სიყვარული, აქ მთავარი ანგარებაა, მდიდარი ოჯახი, მდიდარი საქმრო.

ზოგი ამაყად წარმოთქვამს, ჩემი შვილი უცხოეთში გათხოვდაო. (განა მართლა ასე სასიხარულო და საამაყოა ეს?).

მერედა, უცხოეთში გათხოვილი ქალიშვილი მზადაა იმისათვის, რომ გაუძლოს ნოსტალგიას? რომ არ გაუმართლოს? მერედა, ვინ იქნება იმ წუთებში მის გვერდით? რამდენი გაცრუებული სიყვარულის, დამსხვრეული იმედის მომსწრე ვყოფილვართ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უცხო მიწაზე ვერ იმღერებს ქართველი ქალი ჩვენს მაგიურ „იავნანას“, არ ექნება სიმღერას ძალა...

კიდევ სხვა ათასი პრობლემა გამოჩნდება.

დიახ, ჩვენო ლამაზო ქალიშვილო! შენ შენს სამშობლოში უნდა აირჩიო გულის სწორი, აქვე უნდა მოხდეს შენი ნიშნობა, ქორწილზე სახლის ჭერი უნდა ამაღლდეს. შენი ოჯახი, ახლობლები უნდა იზიარებდნენ შენს სიხარულს.

შენ უნდა იყვავილო და შვილებით აივსო კალთა. უნდა დაიხსომო, რომ ქართველ ქალს ყოველთვის ალამაზებდა ოჯახისადმი ერთგულება, თავდადება, ჭირთათმენა.

დიახ, შენ აქ უნდა დაგლოცოთ, ჩვენში, კარგი ქალობის, კარგი დედობის სურვილით.

ვიცი, ოპონენტებიც გამომიჩნდებიან, ზოგმა, შესაძლოა, ჩამორჩენილობაც დამწამოს. მე მაინც ჩემსას ვიტყვი. ვინც რა უნდა თქვას, ქართველი ასულები საქართველოს უნდა უზრდიდნენ შვილებს. განა შეიძლება სულმნათი ილიას სტრიქონები მთელი სიცოცხლე თან არ სდევდეს ქართველ ქალს: „ეს არის, დედავ, შენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი“...

**ლინა ბარათაშვილი.**

## დაბადებამდე



# დედაშვილობა

გამთენიისას ვარდისფერმა სივრცემ დედობა მომილოცა, ემთხვია ჩემს სამყოფელს, მომეფერა, დალლილ თვალებში ჩამხედა და დამამშვიდა... მერე კი მზესთან დამტოვა.

ჩემს ახლოს თეთრად მოსილი ფერიები დაცქრიალებდნენ, რაღაც სხვანაირ სურნელს აფრქევევდნენ, თითქოს ესენი შექმნილან იმისათვის, რომ დღეს ჩემთვის ახალი სიცოცხლე ებომებინათ...

როგორ ჰგავს ვარდისფერი სივრცე მშვენიერ დასაწყისს...

ჩემი პირმშოა გარიჟრაჟი ვარდისფერთითება.

მენატრებოდი ძალიან... შენს მოლოდინში სასწაულად იზლაზნებოდა დღეები, ვიცოდი, რომ ჩემში ფეთქავდი, თრთოდი, გეშინოდა კიდეც... ხანდახან მეც მაფრთხობდი შენი მოუსვენრობით,... მაგრამ ვერ ვიჯერებდი ამ ჭეშმარიტებას... ახლა კი მჯერა და თანაც როგორ. შენი არსება მთლიანად მე მეკუთვნის, მე ვარ შენი დედამიწა, რაზედაც დგომას აპირებ, წყალიც მე ვარ, რომელიც უნდა შესვა... და სალამური, რომელიც შენ უნდა აამღერო. მე კი უანგაროდ უნდა გემსახურო. ფრთხილად, სათუთად, ფხიზლად, რამეთუ შენ იქნები ჩემი სარკე, რომელშიაც უნდა ჩავიხედო და ჩემი თავი დავინახო.

ბავშობიდან მენატრებოდი, მაშინ თოჯინაში გხედავდი, ბევრჯერ მითამაშია დედობანა. მე დედას ვბაძავდი გაუცნობიერებლად, იმ თოჯინას, მართლაც, შვილივით ვექცეოდი... ვაბანავებდი, ვეფერებოდი ჩემი პატარა და ფაფუკი ხელებით, ხანდახან თითს ვუქნევდი... ის სხვა სამყარო იყო, რომელსაც ბავშვური ალქმის გამონაგონი ერქვა. ახლა კი შენი დაბადებით სინამდვილეს გავუსწორე თვალი, თვალი, რომელიც მთელი არსებობის მანძილზე არ უნდა მოვაშორო ხამიზნეს.

... მე კი ერთს გეტყვი დღევანდელი გადასახედიდან, ჩემო ვარდისფერთითებავ და გარიჟრაჟო. ოღონდ მე გჭავდე და შენ შესძლებ, გაშალო ლაღად მხრები, დამიძახო დედა და მომეყრდნო, მტირალს ჩაგიხუტებ, გულამოსკვნილს მოგეფერები, დაგამშვიდებ.

P. S. შენს დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე, ფიქრით, ოცნებით, ასე წარმოგიდგინე, ასე გესაუბრებოდი, ჩემო პატარავ. მოთმინება არ მყოფნიდა, ვიდრე გიხილავდი. შიში, საშინელი შიში მზარავდა. ვაი, თუ...

დედის სახსოვრად ეს ნაწერი დაგრჩებოდა, მაშინ.

... ახლა, როცა ნამდვილად მომევლინე და სულ გადამავიწყე მშობიარობის მძიმე, ტკივილიანი და უსასრულო წუთები, ეს მაინც მახსოვს: ლონე მეცლებოდა, თავს ველარ ვერეოდი, ყრუდ, ბუნდოვნად მესმოდა ექიმის მღელვარე ხმა: — „ღრმად, ღრმად ისუნთქე, შენს შვილს ჟანგბადი სჭირდება“.

... და ვსუნთქავდი, ვსუნთქავდი შენთვის, ჩემო ვარდისფერთითება, პატარა ქალბატონო, ჩემთვის დედობის მომნიჭებელო...

შენს დაბადებას გამთენიისას ველოდი, მაგრამ ბუნებას ჩემზე უკეთ ჰქონია გათვლილი შენი დაბადების თარიღი, — სვეტიცხოვლის დიდი დღესასწაულის საღამო.

ღმერთმა ორივეს მშვიდობა მოგვცა. მენატრებოდი და გნახე. გნახე ზუსტად ისეთი, როგორიც წარმოგესახე დაბადებამდე.

**ნინო ელბაქიძე,**

**ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.**

მოდგმით გაჭმოგიდან

# პირველად იყო სკოლა...

თბილისის მე-18 სკოლის (ამჟამად 51-ე საშ. სკოლა) კარი მე და ჩემმა მეგობრებმა, ახლა უკვე თვალსაჩინო ისტორიკოსებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, ფილოლოგებმა, ბიოლოგებმა და არაერთი სამეცნიერო დარგის წარმომადგენლებმა, 1938 წლის 1 სექტემბერს შევაღეთ. მაშინვე საოცარ სამყაროში მოვხვდით: სათუთად მოვლილი ნათელი საკლასო ოთახები, სანიმუშო სასკოლო ბიბლიოთეკა, სარკესავით გაპრიალებული დერეფნები, სათამაშო მოედანი, კარგად აღჭურვილი სპორტული დარბაზი და, რაც მთავარია, პედაგოგთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედი.

ასეთი ბედნიერი, ლაღი, სულიერად თავისუფალი, მეოცნებე, სკოლაში რომ ვიყავი, შემდგომში აღარასდროს ვყოფილვარ, მიუხედავად იმისა, რომ 1938-1949 წლები ქვეყანაში მიმდინარე სასტიკი რეპრესიებისა და მეორე მსოფლიო ომის წლებს ემთხვევა, ჩემს მეხსიერებაში ეს ხანა მხოლოდ ტკბილი მოგონებების გრძნობებს აღძრავს. აუხსნელი მიზეზით სადღაც შორს, სიღრმეში რჩება ომისდროინდელი ჩაბნელებული თბილისი, სკოლის შენობებს შეფარებული სამხედრო ჰოსპიტლები დაჭრილებითა და ხეიბრებით, ომის ცეცხლში გახვეული რუსეთის ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული ლტოლვილები, ომის ბოლო წლებში თბილისის ქუჩებში მომრავლებული ცისფერთვალება გერმანელი ტყვეები, რომლებიც გულმოწყალე ჩვენს დედებს თავის ნახელავს სთავაზობდნენ და სხვა მრავალი, არც თუ ისე სასიხარულო მხარე ჩვენი მაშინდელი არსებობისა.

სკოლა ჩემთვის პირველი დღიდანვე საკრალურ ადგილად იქცა: ამ საკრალურ სივრცეში დავიბადე როგორც მოქალაქე, სამშობლოს ისტორიის ულალატო მსახური.

როდესაც სკოლაში გატარებულ წლებს დღევანდელი გადასახედიდან ვუცქერი, უპირველეს ყოვლისა, ამაგდარი პედაგოგების სახეები წარმომიდგება თვალწინ: ესენი არიან ჩვენი კლასის პირველი დამრიგებელი ქალბატონი მარო აბაშიძე, მაღალი, თხელი სათნო ქალბატონი, ყოველთვის მოწესრიგებული, გაწონასწორებული. ოდნავ სევდიანი, რომელიც მე-2-3 კლასებში, ახლა თითქმის ლეგენდადქცეულმა ქალბატონმა ეკატერინე ბურჯანაძემ, მარად კეთილად მოსაგონებელმა, საყვარელმა დეიდა კატომ შესცვალა. რასაკვირველია, ესაა ქალბატონი ვარო ვარდიაშვილი, ილიასა და ვაჟას უბადლო მცოდნე და მათი შემოქმედების მოტრფიალე. ქართული ენისა და ლიტერატურის ჩვენი მასწავლებელი, ქალბატონი ეკატერინე (კატო) დემეტრაშვილი, ლამაზი, შავთვალება, საქართველოსა და მსოფლიო გეოგრაფიის საინტერესო სამყაროს რომ გვაზიარა და სხვები და სხვები. არ შემიძლია, არ მოვიხსენიო ჩვენი სკოლის დირექტორები: ბატონი პარმენ ქაჯაია და ქალბატონი ქეთევან ჩიჩუა.

ჩემს მეგობრებს და მე, მომავალ ისტორიკოსებს, ბედმა სწორედ სკოლაში გაგვიღიმა: ისტორიას ბატონი ვლადიმერ მუშკუდიანი გვასწავლიდა. პროფესიის არჩევანს მას უნდა ვუმადლოდეთ. ბატონი ვლადიმერი ღირსეული, ნათელი პიროვნება გახლდათ. დინჯი, თავმდაბალი, მშვიდი. ბატონი ვლადიმერი პედაგოგიც და ისტორიკოსიც მოწოდებით იყო. მან და მხოლოდ მან შეგვაყვარა მრავალტანჯული ჩვენი სამშობლოს ისტორია, გააღვივა ჩვენში ეროვნული სიამაყისა და თვითშეგნების გრძნობები, მან პირველმა შემოიღო ჩვენს კლასში საქართველოს ისტორიაში წერითი საკონტროლო სამუშაოების ჩატარების კარგი პრაქტიკა, გააღვიძა ჩვენში ისტორიული კვლევა-ძიებისადმი ცხოველი ინტერესი, მანვე მიგვიყვანა პირველად მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ისტორიის კაბინეტში, რომელსაც განუმეორებელი ქალბატონი ირინე მიქელაძე ედგა სათავეში. სკოლასა და პიონერთა სასახლის ისტორიის კაბინეტში დაიწყო ჩვენი, როგორც ისტორიკოსების იდუმალებითა და რომანტიკით აღსავსე ცხოვრება. აქ დავწერე პირველი რეფერატები, მოხსენებები, აქედან მივემგზავრებოდით საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების დასათვალიერებლად, აქვე გადავწყვიტეთ, რომ მომავალში ისტორიის მუზის — კლიოს მსახურები გავხდებოდით.

სკოლამ ჩვენი პიროვნული თვისებების ფორმირებაზე ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა.

ბავშვობაში გამხდარი, ფერმკრთალი, სუსტი ვიყავი (სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსულის მასწავლებელმა ბატონმა გიორგი მოსეშვილმა „სურდოს დედოფალი“ შემარქვა). ავდარი ჩემი დაუძინებელი მტერი იყო. მაგრამ, როდესაც ავად გავხდებოდი და საწოლში აღმოვჩნდებოდი, ჩემი სასწავლო რეჟიმი, როგორც წესი, არ იცვლებოდა. ყველა სასკოლო დავალებას ჩემს განუყრელ მეგობართან, ახლა უკვე ცნობილ ისტორიკოს-არმენოლოგთან ნანული ცაგარეიშვილთან ერთად სახლში ვამზადებდი. ქათქათა თეთრეული მელნისაგან იებით დაფარულ თოვლიან მინდორს ემსგავსებოდა. საბედნიეროდ, ჩემი კეთილი და ყოვლისგამგები დედა არასოდეს მსაყვედურობდა:

რაც უფრო ვშორდებით ბავშვობისა და ყრმობის წლებს, მით უფრო იზრდება მათი მნიშვნელობა ყოველ ჩვენთაგანისათვის, რადგან იქაა ჩვენი დასაბამი, იქაა ის მაცოცხლებელი და უშრეტი წყარო, რომელიც სიცოცხლის დასასრულამდე გვასულდგმულებს, გვამაღლებს და დროდადრო შეგვახსენებს კიდეც, რომ ერთხელ ვცხოვრობთ ამ მშვენიერ და კურთხეულ ქვეყანაზე და იგი ღირსეულად უნდა განვლოთ.

**ნანა ხაზარაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვი საბავშვო ბაღში წავიდა...

## როცა ბავშვი ავად ხდება

პრობლემა, რომელიც ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანით იწყება, მისი ხშირი ავადმყოფობაა.

ზოგჯერ ბავშვის იმუნურ სისტემაზე მოქმედებს გარემოს შეცვლა. გავა 2—3 კვირა და ყველაფერი მოწესრიგდება.

ავადმყოფობა სხვადასხვაგვარია და სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. მაგალითად, ბავშვი წარა-მარა ცივდება ორპირი ქარის გამო. ამ შემთხვევაში არც ბავშვის ჩათბუნებაა საჭირო და არც ფანჯრის დაკეტვა. ბავშვი ვიტამინებით და ვარჯიშით გააკაჟეთ.

თუ ბავშვს მუცელი ატკივდა, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. ამასთან მოელაპარაკეთ აღმზრდელს, რადგან მუცლის პრობლემები ხშირად დაკავშირებულია ზედმეტ ჭამასთან. ზოგიერთი სანშიშესული აღმზრდელი კი მაგიდიდან არ აყენებს ბავშვს, თუ მან ყველაფერი არ შეჭამა.

უფრო რთული შემთხვევაა სიცხის უმიზეზო აწევა, ღებინება, საბავშვო ბაღისადმი შიში. ეს სიმპტომები, როგორც წესი, დაკავშირებულია ბავშვის ფსიქოლოგიურ ატმოსფეროსთან. მიზანი მისი გამოვლენა და აღმოფხვრაა. ამისათვის საჭიროა მოველაპარაკოთ ბავშვსაც და აღმზრდელსაც.

## როგორ ველაპარაკოთ ბავშვს?

შეიძლება ბავშვს აღმზრდელის ეშინია, რომელიც ხშირად ჩხუბობს და სჯის პატარებს, მაგრამ ამის შესახებ შინ არაფერს ამბობს, რადგან მხოლოდ თავისთავს ადანაშაულებს. მას ხომ ბავშვობიდან ჩაუნერგეს — დიდები ყოველთვის მართლები არიანო.

ამიტომ დაუსვით ბავშვს კონკრეტული კითხვები: გყავს მეგობარი ჯგუფში? რა ჰქვია მას? დღეს ვისთან ითამაშე? რა ჰქვია შენს საყვარელ აღმზრდელს? გემრიელი იყო სადილი? რა ჰქვია იმ ბავშვს, რომელიც არ გიყვარს? წყნარი საათის დროს გეძინა? იმიტომ ხომ არ გეჩხუბებიან, რომ არ დაიძინე ან არ ჭამე?

ამგვარი კითხვებით გაარკვევთ ბავშვის მთავარ პრობლემას.

## როგორ ველაპარაკოთ აღმზრდელს?

არავითარ შემთხვევაში არ წამოუყენოთ მოთხოვნები და არ მისცეთ რჩევა. აღმზრდელს თვითონ უყვარს ჭკუის დარიგება. საუკეთესო ტაქტიკაა — რჩევის კითხვა ან ყურადღების გადატანა სხვა ავტორიტეტზე, მაგალითად ექიმზე. შეეკითხეთ: ძალიან ხომ არ გაწუხებთ ჩემი შვილი? მისი რა თვისება არ მოგწონთ? იცით, ჩემს შვილს გასტრიტი აქვს, ექიმი ამბობს, ცოტ-ცოტა ჭამოსო. თქვენ ხომ არ აძალებთ?

შემდეგ ჩამოუთვალეთ, რომელი საჭმელი უყვარს და რომელი წყენს და ა. შ.

თუ მასწავლებელი შვილის ქებას დაგიწყებთ, თქვენ კი ბავშვისაგან იცით, რომ მას ხშირად სჯიან და ამიტომაც ეშინია აღმზრდელის, ეს უკვე პათოლოგიური შემთხვევაა და ეცადეთ პატარა სხვა ჯგუფში გადაიყვანოთ.

**იულია ნიკოლაევა.**

„არგუმენტი ი ფაკტი".

# ავად, რომ არ გახდეთ...

სულ არ არის ძნელი დაიცვათ ორგანიზმი გაციებისაგან, ანუ აიმაღლოთ იმუნიტეტი. ამისათვის:

1. რამდენადაც შესაძლებელია, ერიდეთ სტრესულ სიტუაციებს. ცნობილია, რომ თუ ადამიანი უხასიათოდაა და დათრგუნულია, მას ადვილად ერევა ვირუსები.

2. კარგად გამოიძინეთ, სასურველია, დაიძინოთ და გაიღვიძოთ ერთსადაიმავე დროს. გადაღლა და უძილობა ხელს უწყობს ავადმყოფობას.

3. ჩაისა და ყავის გარდა სვით ასკილის წვენი. უკეთესია, თუ უარს იტყვით ყავაზე რამდენიმე დღით მაინც.

4. სასურველი არაა იმპორტული, ვიტამინიზებული წამლების უაზრო მიღება. საკმარისია გაიმაგროთ ორგანიზმი ვიტამინ C-თი. (ლიმონიანი ჩაი, ფორთოხალი, ვაშლი, შავი მოცხარის მურაბა, მჟავე კომბოსტო). თუ მწეველი ხართ, მაშინ 5-ჯერ მეტი ვიტამინი უნდა მიიღოთ, ვიდრე არამწეველმა.

5. ნუ გამოიყენებთ იმუნოსტიმულირებულ წამლებს (მაგალითად, ჟენ-შენის ტიპის ნაყენებს), რაც წნევის მომატებას იწვევს.

6. დღეში ორჯერ, დილა-საღამოს გამოირეცხეთ ცხვირი და ყელი სალბის („შალფეის") ან ევკალიპტის ნაყენით, ან უბრალოდ ბორჯომის ტიპის მინერალური წყლით.

7. თუ გაწუხებთ ქრონიკული დაავადებები (ტონზილიტი, ბუასილი), ექიმის დანიშნულებით წინასწარ მიიღეთ პროფილაქტიკური საშუალებანი და წამლები.

8. ინგლისელები ამბობენ: ცუდი ამინდი არაფერ შუაშია, მთავარია ტანსაცმელიო. მართლები არიან. ჩაიცვით ამინდის შესაფერისად. გახსოვდეთ, ტემპერატურის ცვალებადობა ძირითადად მოქმედებს ხელის მტევანზე, ფეხის ტერფებზე, კისერზე, თავზე. ამიტომაც ისინი თბილად იქონიეთ. უყურეთ ამინდს და არა სეზონს.

9. გრიპის ეპიდემიის დროს პროფილაქტიკისათვის შეიძლება მცირე დოზით დიბაზოლის მიღება.

თუ საღამოს სისუსტე იგრძენით და ცხვირშიც მოგიჭირათ, ნუ გაირთულებთ ავადმყოფობას:

შინ ადრე მიდით, საქმეს თავი ანებეთ, დაწექით და კარგად გამოიძინეთ.

დალიეთ ჩაი ლიმონით ან ჟოლოს მურაბით. მიიღეთ რაც შეიძლება მეტი სითხე.

ღამით შეიძლება მიიღოთ ტაევგილი ან სუპრასტინი.

3—5 დღე იწვეთეთ ცხვირში ოტრივინის წვეთები. და ბოლოს, ყველაზე სასიამოვნო რჩევა: საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა შემთბარი წითელი ღვინო. მას ძველი დროიდანვე ხმარობენ — უმატებენ ჩაიში ან რძეში და სვამენ გაციებისას და ხველებისას. თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ შეათბოთ წითელი ღვინო და დალიოთ ნახევარი ჭიქა, ანდა დაამზადოთ მისგან სასმელი: აიღეთ ერთი ჭიქა ღვინო, 1—2 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი, 1—2 ნაჭერი ლიმონი ან ფორთოხალი (შეიძლება ორივე ერთად), სულ ცოტა მისაკ-დარიჩინი. ეს ნარევი მიიყვანეთ ადუღებამდე და პატარ-პატარა ყლუპებად სვით. არავის იტყვის უარს ასეთ პროფილაქტიკაზე.

**ილია რურუა**

პროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიდრე სული მიდგას

## მარად შეყვარებული კაცის აღსარება

ძვირფასო!

რამდენი ხანია შენთან პირისპირ საუბრის შემთხვევა არ მომცემია. თუმცა ადრეც ჩემს სათქმელს უფრო ბარათებით გიმჟღავნებდი. წარმოგიდგენია?!... ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი გასულა, უკანასკნელი უსტარი რომ გაახლე ავთანდილივით გულშემატკივარი და მზრუნველი ჩემი უახლოესი მეგობრის ხელით. შენს საპასუხო ბარათს ადრინდელი ურთიერთობის სითბო და ჩემი განცდების ფაქიზი გაგება არ აკლდა, მაგრამ მასში ჩაქსოვილი განჩინება ულმობელი იყო, ყოველგვარი იმედი საბოლოოდ გადამეწურა.

აქ, ამ ქუჩაზე აღესრულა ეს ყველაფერი! მაინც დღემდე მომიწევს გული შენი სტუდენტობის ხანის სავანისაკენ. ყოველი ვარდობის თვის 5 რიცხვში (ეს დღეც კი კეთილმოსაგონრად მიქციე!), წესმოუშლელად შევყვები ხოლმე ვარდისუბნის მყუდრო, ჩემთვის აქამდე რომანტიკულ ბურუსში გახვეულ ქუჩას.

დასაჯერებლად ძნელიც კია, მაგრამ ბედმა ინება ამავე ქუჩაზე გაეტარებინა ბავშვობისა და სტუდენტობის წლები ჩემს მომავალ მეუღლეს. მსიამოვნებს ხოლმე, გარდასული დღეების გახსენებისას ყოველთვის კეთილად რომ გვიგონებს. თქვენი ფანჯრები ხომ ერთმანეთს შესცქეროდნენ, ყოველდღე ერთმანეთს ხვდებოდით და ესალმებოდით.

გაფრენილან ის შორეული წლები, გაფრენილან!...

შემომაბერდა ჩემი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი...

მეც დავბერდი, როგორღაც ერთბაშად...

უბერებლად მარტო შენ შემორჩი ჩემს მეხსიერებას და მოგონებებს, რადგან ჭაბუკურ ხილვებს, თურმე გახუნება არ უწერია; რადგან ჩვენს შორის ჩვეულებრივი, ულიმღამობით მოსაწყენი ერთი დღეც კი არ ჩამდგარა... ვგონებ, სულიერი ახალგაზრდობაც შემრჩენია ჯერ კიდევ, გონება ჩემი ბევრ რამეს იზრახავს, გულიც არ გამცივებია...

ჩემი სულის უსასრულო აღმაფრენისთვის ფრთათა შემსხმელო, მიწიერი სიმძიმით სავსე ცხოვრების გამამშვენიერებელო, გმადლობ ასეთი ბედნიერების მონიჭებისათვის!

შენს ქუჩაზე შემოხეტების სურვილი პირველად იმ შორეული მაისის დღის ტკივილიანი გახსენების წადილმა აღმიძრა, როცა ჩვენს მშობლიურ ზღვისპირა ქალაქში, სკოლის კედლების საბოლოოდ დატოვებამდე ცოტა ხნით ადრე, როგორც იქნა, გავბედე შენთვის გამემჟღავნებინა წლობით გულში ნალოლიავები გრძნობა. მაგრამ საკითხავია, ჯერ სიჭარმაგეში, ახლა კიდევ სიბერეში რა დამკარგვია და რას ვეძებ დღეს უკვე სახელგადანათლულ, ჩემთვის დიდი ხნიდან დაყრუებულ ქუჩაზე?!.

იქნებ გაგეცინოს კიდეც!

კვლავ გულის ხმას ავყოლილვარ უკვე თმაგათეთრებული კაცი. ასე მგონია, შეუძლებელია ერთხელ მაინც არ გადაგეყარო ამ ქუჩაზე, რადგან ადამიანებს ფრინველების მსგავსად, ჩვევიათ აუცილებლად მიაკითხონ ადრინდელ, მიტოვებულ ბუდეებს... განა შენს კარგ, ჭეშმარიტად ქართული რიგითა და წესით გამართულ სტუმართმოყვარულ ოჯახში არ მომესვლება?! მადლობა ღმერთს, ისე არ მიცხოვრია, ვინმემ უხალისოდ, ულიმილოდ გამიღოს კარი... მაგრამ მაინც ვეძებ უეცარ შეხვედრას ღია ცისქვეშ, რათა საქვეყნოდ, თუნდ ყოველი გამვლელ-გამომვლელის გასაგონად, კიდევ ერთხელ ვაგიმჟღავნო მარად შენზე შეყვარებული სულის აღსარება და მადლიერება. დიახ, არ მინდა, უსაზღვროების წყვდიადს ისე შევუერთდე, რომ ბოლომდე არ ამოვსთქვა უზომო მადლიერება მშვენიერი ლეგენდისათვის, რომელიც მაჩუქე შენი სხივმფენი არსებობით...

წარმოიდგინე, პირველი გასამჟღავნებელი სიტყვებიც ამკვიატებია; ასე მგონია იმის შიშით, რომ კვლავაც არ დავიბნე, როგორც მაშინ, ჭაბუკური აღსარების გაბდობისას.

აი ეს სიტყვებიც: „იცი კი, ძვირფასო, რას წარმოადგენ ჩემთვის?!.. იცი, რა ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი იქნებოდა სიცოცხლე ჩემი, ქვეყნად შენ რომ არ მეგულებოდე?!"

მართლაც და განა ცოტა ჯილდოა, როცა ყოველ ნათელ აზრსა და გრძნობას, მოგონებასა და აღმაფრენას შენთვის უსაყვარლესი არსება დაუსრულებლად და უშურველად გჩუქნის?!

ან როცა, თავად შენ ყოველ განთიადსა და დაისს ევებები მასზე ფიქრით და კეთილმორწმუნის სასოებით, გულში ევედრები არსთა გამრიგეს: „კარგად ამყოფე იგი. მიჰმადლე დღე ნათელი და ბედნიერი, ღამე მშვიდი და უშფოთველი... მიეც სურვილი და შეწევნა აღსრულებოდეს ყველა კეთილი ზრახვა, რითაც აღსავსეა მისი არსებობა"...

არ დაგიმალავ, ძვირფასო! იმ სასაცილოდ აწოწილ ბიჭს, შენი უბრალო შემოხედვაც კი თავგზას რომ უბნევდა, საკუთარი ბედნიერების ძებნაში იმის წადილიც დაუფლებია, უკეთესის უკეთესი ეპოვა. ხორციელად და სულიერად ნამდვილად გამორჩეულთა სიყვარულიც რგებია, მაგრამ უფრო ხშირად მათთვის, უნებურად ტკივილებიც მიუყენებია, რადგან შენს თავს ვერავის ვადრიდი. ჩემს სულს მოუშუშებლად ქეჯნის ეს შეცოდება, მაგრამ ყველაფერს მე ვერ დავიბრალებ. ისეთი სიყვარული, ღვთაებრივად ამაღლებულს რომ უწოდებენ, მხოლოდ შენ მომმადლე და... შენვე მიისაკუთრე, სამუდამოდ და განუყოფლად...

ბუნებამ უშურველად მოგმადლა ნიჭი დედოფლურად ღირსეული, მშვიდი ძალმოსილებით მბრძანებლობდე ყველაზე, ვისაც კი შესწევს უნარი სიყვარულისა თუ მოწონებისა. რამდენადაც ვიცი, ჩვენს სკოლაში სხვებიც ეტრფოდნენ ჭაბუკური სუფთა გულით. ისინი ჩემზე უკეთესნი აღმოჩნდნენ თუნდაც იმით, რომ ბოლომდე ურთგულეს წმინდა და ამაღლებული გრძნობისათვის ძველთაგანვე დაგდებულ სიბრძნეს — „სიყვარულსა მალვა უნდა"... მე ქედს ვიხრი მათი მოთმინებისა და რაინდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული სულგრძელობის წინაშე: უფრო სწორად, მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, რადგან დღეს ისინი ცოცხალთა შორის აღარ არიან.

მაინც ნუ დამძრახავ, ძვირფასო, თუ ჩემი გრძნობები მათებრ ვერ დავრთგუნე, ტრფობა გავუმჟღავნე იმას, ვინც თავს თვლიდა ჩემს ახლო, კეთილ მეგობრად... მხოლოდ და მხოლოდ!

იმისათვისაც მომიტევე, თუ ჩემი გრძნობებით ოდნავ მაინც შეგაწუხე; იმისათვისაც, ჩემი პროფესიის კაცმა გულის ნადები, საქვეყნოდ არაერთხელ რომ გავანდე სტრიქონებს.

და მაინც, სულ გასაკიცხი არ უნდა ვიყო, სხვა თუ არაფერი, ჩვენს გატლანქებულ, ამღვრეული ზნეობის დროში ზოგიერთებს მაინც შევახსენე, თუ რას ნიშნავს გიყვარდეს... გიყვარდეს მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე, მაშინაც კი, როცა სანაცვლო გრძნობას ვერ მოგაგებენ და მაინც ხარ უსაზღვროდ ბედნიერი...

იმასაც გეტყვი, ძალიან მომენატრა შენი ხილვა; თუნდაც შორიდან... ჩვენმა კეთილმა, საერთო მეგობარმა, ზღვისფერთვალება მერიმ მითხრა ამას წინათ შენზე — თმას აღარ იღებავს, მაგრამ თეთრი უხდება, უფრო გაბრწყინდაო!..

სულ მშვენიერი, ლამაზი და მომხიბლავი როგორ უნდა იყო!..

არ ვიცი, გახსოვს თუ არა, ჩემი წიგნი რომ შემოგიგზავნე ერთხელ მძღოლის ხელით... მე მანქანაში დავრჩი... ვინ დაგვხვდა შინ, ვის გადაეცი-მეთქი, ვკითხე... სალონში ისე მიმოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებსო და ხავედურით მითხრა: — თქვენგან ამას არ ველოდი!.. კარი ისეთმა დიდებულმა ქალბატონმა გამიღო, სირცხვილით დავიწვი, წვერგაუპარსავი რომ ვიყავი და ხელში თაიგული არ მეჭირაო... გამეცინა: არა უშავს, ვერულო, შეცდომა სხვა დროს გამოვასწოროთ-მეთქი...

ის კი, ცხადია, არ მითქვამს მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე სწორედ ამ დიდებული ქალბატონისათვის რომ ვკრეფ ჩემს მიერ ოცნებით გაშენებულ სიყვარულის ბაღნარში სპეტაკად მოქათქათე მიხაკებს, რათა ყოველდღე ფეხქვეშ დავუფინო იმას, ვისაც ეკუთვნის გული ჩემი...

სანამ სული მიდგას, არ მოვიშლი ამ იდუმალ სამსახურს...

ღმერთმა ნუ ქნას, ძვირფასო, რომ ცხოვრებიდან შენზე ადრე არ წავიდე. ოღონდ ეგაა, სამარეში ჩამყვება იმის დარდი, რომ უმალ გავერანდება სიყვარულის ჩემეული წალკოტი, რომ ქვეყნად სხვა არავინ მეგულება ისეთი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ჩემებრ ერთგულებით და მოწიწებით დაგიფენს ფეხებთან სიყვარულის თეთრ-სპეტაკ ყვავილებს.

**ჯანმრთელობა**

# ხალი—დახვეული გველი

ტანზე პატარა ყავისფერ წერტილს — „დახვეულ გველს" უწოდებენ, რომელმაც შეიძლება გაიღვიძოს და სასიკვდილოდ დაგვესხლოთ.

ძველ ფიზიონომისტებს მიაჩნიათ, რომ ხალი უკანასკნელი შტრიხია ადამიანის სახის სილამაზისთვის. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ლამაზი ქალები ხელოვნურად იკეთებდნენ ხალს.

დღესაც იყენებენ ხალს სილამაზისათვის, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ პატარა ყავისფერ ლაქას შეუძლია დახაბამი მისცეს ყველაზე საშინელ და ავ დაავადებას, უსწრაფეს კიბოს კანზე — მელანომას.

ხალის წარმოშობა და დანიშნულება თანამედროვე მედიცინისთვისაც უცნობია. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ადამიანი უხალოდ. იგი სხვადასხვა ფერისაა: ყავისფერი, შავი, რუხი, წითელი, ვარდისფერი, იისფერი. ხალი შეიძლება იზრდებოდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ პატარავდება. ბევრი მათგანი მემკვიდრეობით გადადის ერთი თაობიდან მეორეში და ერთიდაიმავე ადგილას ჩნდება.

ხალს უწოდებენ „დახვეულ გველს", რადგანაც ერთ მშვენიერ დღეს შეუძლია გაიღვიძოს და სასიკვდილოდ გიკბინოს. ახეთი საშიში ხალი არც თუ ბევრია, ყოველი 100 უვნებელი ხალიდან ერთი საშიშია. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მისი ამოცნობა შეუძლებელია. მელანომას ვერაგობაც სწორედ ისაა, რომ თითქოს უმიზეზოდ გაჩნდება და ძალიან სწრაფად იძლევა მეტასტაზებს. ექიმები მაშინ აღმოაჩენენ ხოლმე, როცა ლიმფური კვანძები ძალიან გადიდებულია კისერზე, იღლიის ქვეშ, საზარდულზე.

რატომ ხდება სიმპათიური ხალი საშიში?

ხალის მოცილება აუცილებელი არაა, მაგრამ თუ ის მუდმივ მექანიკურ ტრავმას განიცდის, მაგალითად: ტრუსის რეზინით ან მოჭერილი ბიუსტჰალტერით, მაშინ თავის დაზღვევის მიზნით, სჯობს მოიცილოთ. ხალი ძალიან საშიში ხდება, თუ უნებლიეთ გაკაწრეთ, მოიფხანეთ ან უჩხვლიტეთ. შეიძლება პირის მოპარსვისას გაიჭრათ. ამ დროს ჯობია მოიცილოთ. სასიკვდილო შეიძლება აღმოჩნდეს ხალის ცენტრზე კოლოს ნაკბენიც, რადგან გადაგვარების პროცენტი თავიდანვეა ჩადებული და მხოლოდ ბიძგს ელოდება. თუ ხალმა ზრდა და სისხლის დენა დაიწყო, ან ფერი შეიცვალა, ის სასწრაფოდ უნდა მოიცილოთ. „გველი" იღვიძებს მზეზეც. ის განსაკუთრებით საშიშია წითურებისა და ქერა ადამიანებისათვის, რადგან მათი კანი ულტრაიისფერი სხივებისგან დაუცველია და ხალის უჯრედები უსწრაფესად იწყებს გამრავლებას. ბევრი ხალი ჩნდება ორსულობისასაც, მაგრამ შემდეგ თვითონვე ქრება.

როგორ გავარკვიოთ, საშიშია თუ არა ხალი?

ყველაზე საშიში ის ხალია, რომელიც უთმო ადგილზე ჩნდება: ფეხის ტერფზე და ფეხის გულზე; საშიშია შავი, ლურჯი ან ცისფერი, ბრტყელი და მბრწყინავი, თმით დაუფარავი ან ისეთი, რომელიც ნახევარ წელიწადში სამჯერ გაიზარდა.

საშიში არაა ხალი თავზე, წითელი და გამობერილი, ხაზად გაგრძელებული, რომელიც მთელ ტანს სერავს, თუთის მსგავსი, რბილი.

როგორ მოვიცილოთ ხალი?

მისი მოცილება შეიძლება ელექტროქირურგიული, კრიოდესტრუქციული და ქიმიოდესტრუქციული საშუალებებით. სკალპელს ხმარობენ იქ, სადაც დიდი კოსმეტიკური ეფექტი არაა საჭირო — ზურგზე, წელზე. ამ შემთხვევაში ნაჭრილობევი რჩება. თუ ხალზე თმაა, ის მხოლოდ უნდა მოიჭრათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მოჭადრაკე ქალები უძლიერესი ვაჟების წინააღმდეგ

ჩვენ კარგახანია შევეჩვიეთ, რომ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები ყველა შეჯიბრებაში დიდ წარმატებას აღწევს. ეს, პირველ რიგში, ეხება ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადებს, სადაც ქართველმა ქალებმა გაიმარჯვეს მანილაში (1992), მოსკოვსა (1994) და ერევანში (1996). აქვთ თუ არა მათ შესაძლებლობა იგივე გაიმეორონ ელისტაში 1998 წელს? მიმომხილველების ერთიანი აზრით, რა თქმა უნდა, აქვთ!

ერთი ხინჯი გულში მაინც გვქონდა. ამ თაიგულში არ იყო ევროპის 1993 წლის ჩემპიონატისათვის განკუთვნილი დაფნა, რომელიც უკრაინელებს ერგოთ. მართალია ჩვენი გუნდი ბუდაპეშტში უძლიერესი შემადგენლობით არ გამოდიოდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. გაივლის დრო, ნაკრების შემადგენლობა ყველას დაავიწყდება, ხოლო ვინ იყო ჩემპიონი, რა თქმა უნდა, ისტორიაში დარჩება.

ამიტომაც დიდი ინტერესით მოველოდით ევროპის ახალ ჩემპიონატს, რომელიც ხორვატიის ქალაქ პულაში გაიმარ-

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. ქალაქის, ციხე-სიმაგრის ან რაიმე ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი. 6. ქარავნის სადგომი. 8. ქართული ყოველკვირეული და საინფორმაციო გაზეთი, გამოდიოდა 1922—23 წ. თბილისში. 11. მუნიციპალიტეტი. 14. საგანგებო დავალება. 15. განთიადი, ალიონი, აისი. 16. წერილი, ბარათი ძველად. 17. წელიწადის დრო (ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული ან შემოდგომა). 21. ასეთი ან ისეთი შეხედულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს და სხვ. 22. წმინდა გამარჯვების მიმნიჭებელი ილეთი კარატეში. 23. ფრანგი კინორეჟისორი და დრამატურგი, დამდგმელი ფილმისა „პარიზის სახურავებ ქვეშ“. 25. სასტუმრო „თბილისის“ ძველი სახელწოდება. 27. მაგნიტი ანუ... 28. ლურჯი ან იისფერი ძვირფასი ქვა.

**შვეულად:** 1. ძვლის პატარა კუბი, რომლის გვერდებზედაც დატანილია წერტილები ერთიდან ექვსამდე. 2. სავრილობელი. 3. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში. 4. მაღალი ხარისხის ნავთი. 7. ქუჩის სახელწოდება რკინიგზის სადგურიდან პლეხანოვის (ამჟამად აღმაშენებლის) პროსპექტამდე ძველ თბილისში. 9. ქართველი მხატვარი. 10. პოეტ რ. მარგიანის პირველი გამოქვეყნებული ლექსი. 12. ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის და მისთ. საერთო სახელი. 13. გეგმა, განზრახვა. 18. საეკლესიო წესების კრებული. 19. გამოცანა, რომელშიც გამოსაცნობი სიტყვა ან ფრაზა მოცემულია ნახატების, ნიშნების, ასოების კარნახით. 20. საპალნიანი საკიდარი ცხოველები, უპირატესად აქლემები (აღმოსავლეთის უდაბნოებსა და ველებში). 24. ტროპიკული ხე, რომლის თესლისგანაც შოკოლადს ამზადებენ. 26. პერსონაჟის სახელი ა. ცაგარელის პიესაში „ხანუმა“.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა



რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 16. 10. 97 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 12. 97 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 8. ტირაჟი 800. შეკვ. 1872.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა. ევროპის პირველობა, გასაგებია, თავის ხიბლიერით ოლიმპიადებს ჩამოუვარდება, მაგრამ ზოგიერთი სპეციფიკური სირთულე მაინც ახლავს. აქედან მთავარია დაფების მცირე რიცხვი. თუ ოლიმპიადებზე სამი დაფაა (რა თქმა უნდა, არც ეს არის ბევრი), ევროპის პირველობაზე მხოლოდ ორია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკმარისია ერთი მცირე შეცდომა, რომლისგანაც ცხადია, არავინ არის დაზღვეული, და მატჩის ბედი საფრთხეში ვარდება. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ საჭირო იყო თამაში მაქსიმალური კონცენტრაციით, რაც თავისთავად მეტად ძნელია.

საქართველოს ნაკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ყველა სიძნელე გადალახა და დამაჯერებლად მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. შესანიშნავად ითამაშეს, როგორც გუნდის ლიდერმა მაია ჩიბურდანიძემ, ისე ნანა იოსელიანმა და ქეთევან არახამიამ (სათადარიგო მონაწილე). საინტერესოა, რომ ორივე ძირითად მონაწილეს საერთოდ არ განუცდია დამარცხება — მაია ჩიბურდანიძემ 6 პარტია ითამაშა და 5 ქულა მოაგროვა, ნანა იოსელიანმა შვიდჯერ ითამაშა და 5,5 ქულა შესძინა გუნდს. ბრწყინვალე შედეგია! სანამ საჭირო იყო, ჩვენი მოჭადრაკეები იგებდნენ კიდეც. როცა ისინი საგრძნობი მანძილით მოსწყდნენ მეტოქეებს, მაშინ ზოგ პარტიაში ყაიმს დასჯერდნენ. 13 ქულა 18 შესაძლებლობიდან — ეს ნამდვილად ჩემპიონებისათვის საკადრისი შედეგი იყო. მეორე ადგილზე რუმინელები გამოვიდნენ, რაც არ იყო ჩვენთვის მოულოდნელი, მესამე ადგილი კი ინგლისელებს დარჩათ.

ქართველი მოჭადრაკე ქალების ასეთმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას ერთი საინტერესო, ორიგინალური გადაწყვეტილება მიაღებინა. მან ჩვენი გუნდი მიიწვია მსოფლიო პირველობაზე ვაჟთა შორის, რომელიც ოქტომბერში ლიუცერნში (შვეიცარია) ჩატარდა.

საქართველოს ნაკრების შედეგს (მეათე ადგილი) აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აქ მთავარია მისი საყოველთაო აღიარების ფაქტი.

**გივი გამრეკელი**

# მოდა

### ჩარლზ ვორტი — მანეკენთა მამამთავარი

იცით თუ არა, სად გაჩნდნენ პირველი მანეკენები? რასაკვირველია, პარიზში, მაგრამ პოდიუმზე ისინი ინგლისელმა ჩარლზ ფრედერიკ ვორტმა გამოიყვანა.

ოცი წლის იყო ვორტი, როცა პარიზში ჩავიდა უკაპიკოდ და ფრანგულ ენაშიც ინჩი-ბინჩი არ ესმოდა. ამის მიუხედავად, მოხერხებული ჭაბუკი მალე გამინაურდა. მისი შექმნილი ტანსაცმელი პარიზელ ქალბატონებს ძალიან მოეწონათ. ხოლო 15 წლის შემდეგ 1860 წელს ახალგაზრდა მოდელიორის შემოქმედებით თვით იმპერატრიცა ევგენია დაინტერესდა, რამაც ვორტი პარიზული მოდის კანონმდებლად აქცია. ცოლთან ერთად მან საკუთარი ფირმა გახსნა, სადაც რეგულარულად უჩვენებდა ტანსაცმლის ახალ მოდელებს. ერთხელ, ერთ-ერთი ასეთი ჩვენების დროს, მან გამოიყენა ცოცხალი მანეკენი (სიტყვა წარმოიშვა ფლამანდიურიდან „მაენეკენ“, რაც კნინობითი ფორმაა კაცის, ადამიანის).

შემდეგ კი მოდელიორის ცოლი წარმატებით გამოდიოდა „ვორტის მოდების“ ჩვენებით. ის იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც შემოიღო ახალი პროფესია — მანეკენი.

### ცხოვრებაში მოკრძალებულნი არიან

ახლა საქვეყნოდ ცნობილ, პრესით ცამდე აყვანილ მანეკენებს ხშირად თოფმოდელებს ეძახიან. მოდური ჟურნალების ყდებიდან, ტელეეკრანიდან თუ პოდიუმზე ისინი ზღაპრულად ლამაზ, თავის თავში დარწმუნებულ ქალებად გამოიყურებიან. მაგრამ ჩვეულებრივ, არასასცენო ცხოვრებაში ისინი ხშირად მოკრძალებულნი და, ასე გასინჯეთ, დაკომპლექსებულნიც კი არიან. მაგალითად, საქვეყნოდ აღიარებული კლაუდია შიფერი, ვის მშვენიერებაშიც ეჭვი არავის შეაქვს, გულწრფელად დარწმუნებულია, რომ მისი ფიზიკური მონაცემები სრულიადაც არ არის სრულყოფილი: „აი, ფეხები უფრო გრძელი რომ მქონდეს, ხოლო ერთი ადგილი — უფრო მომცრო... საერთოდაც, კბილებს რომ ვიწმენდ, სულ ვცდილობ, სარკეში არ ჩავიხედო“ — ამბობს იგი. ვინც მას იცნობს, ყველა ამბობს, რომ ცხოვრებაში კლაუდია საყვარელი, მორცხვი, სრულიად უპრეტენზიო ადამიანია.

„ვარსკვლავთა ავადმყოფობით“ არც გრძელფეხება ნადია აუერმანი არის დაავადებული. მისთვის ბედნიერებაა, თუ მოდების ჩვენებისას შესვენებაზე სადმე კუთხეში, სხვის თვალთაგან მოფარებული, მოახერხებს შეჭამოს ცოტაოდენი თალგამის სალათა.

ან ფირმა „შანელის“ უკანასკნელი გატაცება 25 წლის ამომავალი ვარსკვლავი სტელა თენენტი. ვინ ვინ და მას შეუძლია იამაყოს თავისი არისტოკრატიული წარმოშობით (მამა ლორდი ჰყავს, სხვა ნათესავები გრაფები და ჰერცოგები), მაგრამ სრულიადაც არა. სტელა გასაოცრად სადა და მოკრძალებული ახალგაზრდაა, თავს საკუთარი შრომით ირჩენს. სამუშაოს უდიდესი გულისყურით ეკიდება. მაგალითად, თუ დიზაინერი მოითხოვს, სტელა ცხვირსა და ჭიპზე პაწია რგოლებსაც კი იკეთებს.



რედაქცია მადლობას უხდის გორის სააქციო საზოგადოება გორკონის ხელმძღვანელს ქ-ნ მარინე ქიტიაშვილს ჟურნალისათვის გაწეული დახმარებისათვის

ინდექსი 76178
ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 1 ლარი